# გილოცავთ მარიამობას!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა
Akhali Taoba



„საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს დახმარება ნამდვილად სთხოვა“ გვ.3

24 აგვისტოდან
100 წიგნი
ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო
ტომი 52



ლინკოლნი
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ორშაბათი, 28 აგვისტო, 2017 №203 (7438) ფასი: 50 თეთრი

# ხეჩიკაშვილს 2 მილიონი ლარის კრედიტი აქვს აღებული, კვირიკაშვილს – 173.500 დოლარის

გვ.6



## ქართველი მინისტრების სესხები

თანამდებობის 19 პირიდან სასესხო ვალდებულებები 8 მინისტრს არ უფიქსირდება.
ყველაზე მეტი სესხი სპორტის მინისტრს აქვს – დაახლოებით 2 მილიონი ლარი, ყველაზე ნაკლები კი იუსტიციის მინისტრს – 13.686 ლარი.
სესხები მინისტრთა კაბინეტის წევრებს როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში აქვთ აღებული.

## ზურაბ ნეფარიძის წინააღმდეგ ჩვენება მისმა შვილმაც მისცა

გვ.7





დეპუტატს 1.200 ლარის გამოძალვისთვის 11-15 წლამდე ციხე ემუქრება

ლევან ხაბეიშვილი: „რამდენიმე გამგებლის დაკავებაა მოსალოდნელი“





გვ.2

## „კალაძეს საარჩევნო სიის შედგენაში ხელს უშლიან“

გვ.2



## სააკაშვილი: „უკრაინაში „ბარიგებთან“ სრულ კოორდინაციაში მყოფი საქართველოს ხელისუფლება ახალ ბრალდებას მიმზადებს“

## „ბათუმის ბულვარში განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამო გვცემეს. პოლიციელები წიხლებით შეგვდგნენ“

რას ყვებიან ლევან ბერიანიძე და თორნიკე კუსიანი

გვ.7



## გიგა ბუკია: „ულტიმატუმებზე გადასული ოპოზიციის ნამდვილი მიზანი ძალიან გაუგებარია“

გვ.4



ISSN 1987-9385

# „კალაძეს საარჩევნო სიის შედგენაში ხელს უშლიან“

## ლევან ხაბეიშვილი: „რამდენიმე გამგებლის დაკავებაა მოსალოდნელი“

შორენა მარსაგიშვილი



გასული კვირის ბოლოს ქრთამის აღების ბრალდებით თბილისის საკრებულოს დეპუტატი ზურაბ ნეფარიძე დააკავეს. ის „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის ბოლოს პოლიტპატიმრის სტატუსით გამოიყვანა ციხიდან. წინა ხელისუფლებამ ის თაღლითობის ბრალდებით დააკავა. ნაციონალური მოძრაობის წევრი ლევან ხაბეიშვილი ამბობს, რომ ამ დაკავებას კორუფციასთან ბრძოლასთან საერთო არაფერი აქვს. „ახალ თაობასთან“ საუბარში ის დაკავების ნამდვილ მიზეზებზე საუბრობს და კიდევ რამდენიმე ხმაურიან დაკავებას აანონსებს.

**ლევან ხაბეიშვილი:**

– ზურაბ ნეფარიძე თავის დროზე თაღლითობისთვის იყო ნასამართლევი. როცა ის საკრებულოს დეპუტატი გახდა, მასთან დაკავშირებით მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“ საინტერესო კვლევა ჩაატარა. იმ დროს მოხდა ასეთი რამე – დედა-შვილმა თანამდებობები გაცვალეს და მათ ეს ბატონი ლობირებდა. კვლევის გამოქვეყნების შემდეგ მასთან ჟურნალისტები მივიდნენ. ნეფარიძე ნახევარი საათის განმავლობაში ტუალეტში ჩაიკეტა და იქიდან ყვიროდა, ტუალეტში ვარ, თავი დამანებეთო.

მას ბევრი ვინმე ედავებოდა, ბევრი ადამიანი ჰყავდა გამწარებული. მის შესახებ ბევრი ინფორმაცია გვქონდა „მედიატორს“ და, წესით, მისი დაკავება არ უნდა გამკვირვებოდა.

***– თუმცა გაგიკვირდათ.***

– გაკვირვებით არ გამკვირვებია, უბრალოდ მიმაჩნია, რომ ეს დაკავება კორუფციასთან ბრძოლასთან კავშირში არ არის. ამ ფაქტმა „ოცნების“ ერთ-ერთი აქტიური სახის, ოთარ აბესაძის, დაკავება გამახსენა. ისიც ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს. მასზეც ვთქვი და ნეფარიძეზეც იმავეს ვიტყვი, რომ ეს არის პოლიტიკური ბრძოლა.



კორუფციასთან ბრძოლა რომ უნდოდეთ, საშუალო რგოლის წარმომადგენლებსა და ლიფსიტებს არ დააკავებდნენ. არასდროს არ მიდიან იქამდე, საიდანაც მოდის კორუფციის მთავარი წყარო.

აბესაძისა და ნეფარიძის დაკავება მეტყველებს იმაზე, რომ „ქართულ ოცნებაში“ საარჩევნო სიებთან დაკავშირებით ღია დაპირისპირებაა. მმართველ გუნდში სიების დაკომპლექტებაში რამდენიმე ფლანგი მონაწილეობს. მათ შორის ერთ-ერთი არის კახა კალაძე. ის ყველაზე აქტიურად ცდილობს, თბილისის საარჩევნო სია გადაახალისოს. ის მომავალზე ფიქრობს და რაღაც საფრთხეებს ითვალისწინებს.

კალაძეს მიაჩნია, რომ თუ დედაქალაქის საკრებულო მისი ხალხით არ დაკომპლექტდება, მერად არჩევის შემთხვევაში, საჭირო დროს მას შესაძლოა იმპიჩმენტი მოუწყონ. ახლა გავლენების მოპოვებისთვის მიმდინარეობს ბრძოლა და კალაძე იმ ხალხის ჩამოცილებას ცდილობს, ვინც დღემდე „ქართულ ოცნებასთან“ არის დაკავშირებული. მას ასეთი ხალხი არც სიაში უნდა და არც – მაჟორიტარებად.

ოთარ აბესაძის დაკავებით მან ყველას გაუგზავნა მესიჯი, რომ ვინც ზედმეტად იაქტიურებს, არავის დაინდობენ. „ქართულ ოცნებაში“ კი ქრთამი ყველას აქვს აღებული და არასასურველი ხალხი თუ იაქტიურებს, მათ დააკავებენ. საარჩევნო სიებიდან ხდება ადამიანების ნაწილის ჩამოშორება.

***– არჩევნებამდე 2 თვეზე ნაკლებია დარჩენილი და სია აქამდე არ აქვთ დაწერილი?***

– სიის შედგენას ვერ ახერხებენ. მაჟორიტარების შერჩევაც უჭირთ. ახლა იქ გავლენების გადანაწილებისთვის იბრძვიან და ყველა თავის ძალაუფლებას იყენებს.

დაზუსტებული ინფორმაცია მაქვს იმის შესახებ, რომ კალაძეს საარჩევნო სიის შედგენასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აქვს. „ოცნების“ წარმომადგენლები ღიად ამბობენ, რომ კალაძე ამ სიებს ერთპიროვნულად ვერ დაწერს და სია პარტიასთან ექნება შესათანხმებელი.

***– ვითომ შეათანხმებს კალაძე პარტიასთან სიას?***

– მოუწევს. ფაქტია, რომ სიის დაკომპლექტებაზე მას სერიოზული პრობლემები შეექმნა „ოცნებასთან“. მმართველ გუნდში, კალაძის გარდა, სხვა დაჯგუფებებიც არის, ყველას თავისი გავლენები და ინტერესები აქვს. არასასურველი ადამიანების ჩამოშორება კი სხვადასხვა მეთოდით ხდება. ერთ-ერთი ფორმაა დაკავება.

არ გამოვრიცხავ, რომ კიდევ რამდენიმე ჩინოსანი დააკავონ. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე თბილისის ორი რაიონის გამგებლის დაკავებაზეა საუბარი. ისინი იმ შემთხვევაში გადარჩებიან, თუ საარჩევნო ამბიციებზე უარს იტყვიან.

წლების განმავლობაში ვსწავლობდი კორუფციულ ფაქტებს და ამიტომ არ მჯერა, რომ კორუფციასთან მიმდინარეობს ბრძოლა. ეს რომ მართლა ასე იყოს, იმათ დაიჭერდნენ, ვინც სათავეშია. 2 თვის წინ მთავარ პროკურატურას უფასო სასადილოებთან არსებულ კორუფციულ სქემებზე მასალები გადავეცით და დაკითხულიც არავინ არის. ესეც მიუთითებს იმაზე, რომ კორუფციას არავინ ებრძვის. „ქართულ ოცნებაში“ გავლენების მოპოვებისთვის პოლიტიკური ბრძოლაა გაჩაღებული.

# სააკაშვილი: „უკრაინაში „ბარიგებთან“ სრულ კოორდინაციაში მყოფი საქართველოს ხელისუფლება ახალ ბრალდებას მიმზადებს“



საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მის მიმართ ახალი ბრალდების მომზადების შესახებ განცხადებას ავრცელებს, რომლითაც, მისი ექსტრადირებისთვის უკრაინული კანონმდებლობისთვის საფუძვლის შექმნა სურთ. ამის შესახებ სააკაშვილი საკუთარი ფეისბუქის გვერდზე წერს.

– საქართველოს ხელისუფლება, უკრაინაში „ბარიგებთან“ სრულ კოორდინაციაში მყოფი, ახალ ბრალდებას მიმზადებს – საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მომზადება.

ისინი პოროშენკოს შეჰპირდნენ, რომ ბრალდებას 10 სექტემბრამდე წარმიდგენენ.

საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის ბრალდება, რაც გვირგვინების შეძენასა და უცხოური დელეგაციების მიღებაში გამოიხატება, უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ექსტრადიციის მიზნით პატიმრობას ვერ „ქაჩავს“. პოროშენკოსა და უკრაინის გენერალურ პროკურატურას კი სჭირდება იურიდიული საფუძველი საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ ჩემს დასაკავებლად.

ისინი უკვე მიხვდნენ, რომ საზღვრის დარღვევას არ ვაპირებ და მათ მიერ საჩქაროდ მომზადებულ კანონპროექტს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის შესახებ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე ჩემზე ვერ გამოიყენებენ. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა – ეს არის სუფთა პოლიტიკური მუხლი, რომელიც იმდენად სასაცილოა, რომ საქმის ფაბრიკაციაში ეჭვი აღარავის შეეპარება, მაგრამ „ბარიგებისთვის“, როგორც ჩანს, ყველა საშუალება გამოსადეგია, – წერს სოციალურ ქსელში მიხეილ სააკაშვილი.

# ბექა ბასილაია: „პროფესიული ღირსება არცერთს გააჩნია... პოლიტიკურ მითითებებს ზედმიწევნით ასრულებენ, ფასი შეთანხმებით“

ადვოკატი ბექა ბასილაია სტრასბურის მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი კომისიის მიერ კანდიდატების შერჩევის პროცესს ეხმაურება და შერჩეულ კანდიდატებს აფასებს.

შეფასებას ბასილაია სოციალურ ქსელში ავრცელებს და წერს, რომ შერჩეული კანდიდატებიდან მოსამართლე ლალი ფაფიაშვილს და ოთარ სიჭინავას პროფესიული ღირსება არ გააჩნიათ.

„პირველი რადიო“ ბექა ბასილაიას განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– ვიწყებთ მოძრაობას, ლალი ფაფიაშვილი და ოთარ სიჭინავა სტრასბურში მოსამართლეებად; ორივენი ერთდროულად (ერთ-ერთი, სხვა ქვეყანამ უნდა წარადგინოს აუცილებლად!). მომავალში კი ზაზა თავაძე და თამაზ ცაბუტაშვილი ევრომოსამართლეებად. კრიტერიუმებს ზედმიწევნით აკმაყოფილებენ: 1. პროფესიული ღირსება არცერთს გააჩნია, ჩვეულებითი სამართლით არაკონსტიტუციურად ცნეს; 2. პოლიტიკურ მითითებებს ზედმიწევნით ასრულებენ, ფასი შეთანხმებით – სააპელაციოში მუდმივად დანიშვნა, საკონსტიტუციოს თავმჯდომარეობა და ა.შ; 3. სამარცხვინოდ უპრინციპოები არიან. თავისივე დანიშნულ სასამართლო პროცესებს ბოიკოტს უცხადებენ დავალების შესაბამისად;

სიჭინავას დამატებითი ღირსება გააჩნია – უკიდურესად ბრიყვია; ფაფიაშვილი მასზე კომპეტენტური ნამდვილად არის. პრინციპში რატომ მხოლოდ მასზე ?! ფაფიაშვილი პროფესიული უნარებით ცაბუტაშვილისაც აღემატება და თავაძესაც სჯობს. იყო აუტსაიდერებში საუკეთესო, არ არის ურიგო.





მაგრამ მე მაინც ო.სიჭისკენ ვარ, ბოლოს და ბოლოს, გვინახავს, როგორ უყვარს საკუთარი ძაღლები, მერე რა, რომ ადამიანების ბედი ფეხებზე კიდია. დაკიდებაში ფაფიაშვილიც ძლიერია, რუსთავი 2-ის, შერჩევითი მართლმსაჯულებისა და გაფლანგვის არაკონსტიტუციურობის თაობაზე სარჩელებს დღემდე არ იხილავს. ალბათ სტრასბურიდან აპირებს ამ თემებზე პრეცედენტების დადგენას. ისადა, ამავე სარჩელების განუხილველობა და წაყრუება ახალ მოსამართლეებს არ ეჩოთირებათ?! სტრასბურმაც კი იმსჯელა რუსთავი 2-ზე და ესენი ვითომც არაფერი... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, გვარად ტუღუში იქნები თუ ტურავა, დავალებებს თავაძისგან როცა იღებ.

**პ.ს.** თუ ფიქრობთ, რომ საკმარისი მიზეზები არ ჩამომითვლია ფაფიაშვილისა და სიჭინავას მხარდასაჭერად, დაწერეთ კომენტარებში, – წერს ბასილაია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს დახმარება ნამდვილად სთხოვა“

## გიგლა ბარამიძე: „მთელი მთავრობა რომ ბორჯომში იყო გაკრეფილი, დანარჩენ საქართველოში რამე რომ მომხდარიყო, რას აპირებდნენ?!“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ იგდებს ხელისუფლება თავს უხერხულ მდგომარეობაში, სთხოვეს თუ არა მთავრობის წევრებმა რუსებს დახმარება, რა არ იცის ივანიშვილმა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

***– ბორჯომის ხეობაში ხანძარი ლიკვიდირებულია და ახლა უფრო მშვიდად შეიძლება ამ ყველაფერზე საუბარი. თქვენი აზრით, რატომ გაჭირდა სტიქიასთან ბრძოლა? იყო თუ არა იმის საშუალება, რომ ასეთი მასშტაბის ტრაგედია თავიდან აგვეცილებინა? 100 ჰექტარზე მეტი ფართობის ტყის დაწვა ნამდვილი ტრაგედიაა.***

– ვიდრე ხანძარსა და ხელისუფლების ცრუქაქუნობაზე ვისაუბრებდე, მინდა ყველას მივულოცო უდიდესი დღესასწაული – მარიამობა.

ახლა რაც შეეხება გასულ კვირას დატრიალებულ ამბებს, ამას მე დავარქმევდი ქოცების ცრუქაქუნობას ანუ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

ამ ხანძარმა სულზე მიუსწრო „ქართულ ოცნებას“. შს მინისტრისა და პრანკერების საუბარი გადაიფარა. ეს ის პრანკერები არიან, რომლებმაც ჩვენი გაჭირვებული შსს კი არა, თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი და ჩვენი ხელისუფლებისთვის სათაყვანებელი თეთრი სახლის მაღალჩინოსანი შეიყვანეს შეცდომაში.

ხელისუფლებამ თავისი უმოქმედობითა და უუნარობით ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ბორჯომის ხეობაში 100 ჰექტარზე მეტი ტყე დამწვარიყო. პირველი 3 დღის განმავლობაში ჩვენ ვნახეთ, როგორი არაფრის მაქნისები იყვნენ და როგორ დაბნეულები დაბოდიალობდნენ. უმოქმედოდ ყოფნის 3 დღის შემდეგ გამოვიდნენ და გვითხრეს, გამოცდილება მივიღეთ, ახლა უფრო კარგად ვმუშაობთო. ერთმა თანამდებობის პირმა, რომელსაც კრიზისულ სიტუაციებზე ეკისრება პასუხისმგებლობა, თქვა, საქმეში მაშინ ჩავერთეთ, როცა კანონის მიხედვით უნდა ჩავრთულიყავითო.

***– ეს კრიზისების მართვის საბჭოს მდივანმა მინდია ჯანელიძემ თქვა და მართლა რეგულირდება კანონით, ვინ როდის უნდა გამოჩნდეს კრიზისული ვითარების დროს?***

– რა თქმა უნდა, არა. ეს იყო თავის გამართლების უსუსური მცდელობა. ამ ხანძარზე ჯერ კიდევ ადრიან გაზაფხულზე უნდა ეფიქრათ. იქაურობას კარგად ვიცნობ და იქ ყოველ წელს ხდება ხანძრები. ადრიან გაზაფხულზე, სანამ ხეების სანიტარიული ჭრა დაიწყება, ხდება იქაურობის დათვალიერება.

წვიმების სეზონის დასრულებისას ბორჯომის ხეობაში ყოველ წელს ხდება თხრილების განახლება. ამ გაჭირვეულებს თხრილები ხანძრის დროს გაახსენდათ მხოლოდ. სანიტარიული ჭრის დროს დამპალ ხეებს აშორებენ იქაურობას, რათა ახალ ხეებს მისცენ განვითარების საშუალება. ამის შემდეგ ხდება თხრილების გაწმენდა და, საჭიროების შემთხვევაში, ახლების გათხრაც. ამ თხრილებით უფრო ადვილად უნდა მიადგე მიუდგომელ ადგილებს და იქ ტექნიკა მიიყვანო, გააჩნია, მთა რა გრადუსით არის დახრილი.

ქარი კი იყო, მაგრამ შეიძლებოდა იქ ერთდროულად შემხვედრი ცეცხლი გაეჩინათ – ცეცხლი ცეცხლს აქრობს. იქვე უნდა მომარაგებული ყოფილიყო ქვიშა.

საქართველო არის ქვეყანა, რომელიც გაუგებარი ვარსკვლავების ჩამოყვანაში ათეულობით მილიონ დოლარს ხარჯავს. საქართველო არის ქვეყანა, სადაც მილიარდები იხარჯება ჩინოსნების პრემია-დანამატებზე. სამაგიეროდ, ამ ქვეყანას ერთ ვერტმფრენზე მეტი არ აღმოაჩნდა. ის საწყალი ძლივს დაჩლახუნობდა და 27 აგვისტოს ბორჯომის ხეობაში წყლის რეზერვუარის შევსების დროს ჩამოვარდა.

სახანძრო მანქანები არ გვყავდა და აზერბაიჯანიდან ველოდებოდით მათ ჩამოყვანას. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის მეზობლებისთვის, მაგრამ სანამ იქიდან ტექნიკა ჩამოვიდა, გადაიწვა ყველაფერი. რად გინდა ბაქო და ერევანი, აქ არ უნდა გყავდეს საკმარისი რაოდენობა სახანძრო მანქანები? ასეთ რამეებზე ქამრების შემოჭერა ახსენდებათ, სამაგიეროდ, ძვირადღირებულ მანქანებში და რესტორნებში მილიონებს ხარჯავენ. აღარაფერს ვამბობ სამივლინებო ხარჯებზე. ცესკოს თავმჯდომარე ერთი წლის განმავლობაში 23 ქვეყანაში იყო.

ან ის რა უბედურებაა, როცა საჭიროა, ჯარი არ გვყავს და საჭირო დროს არც ტყვიაწამალი გვაქვს. 2008 წელს ემ-4-ები რომ ჩამოატანინა კეზერაშვილმა გერმანიიდან, იმის ტყვიები არ აღმოაჩნდათ და კალაშნიკოვებზე გადავიდნენ ისევ.

ხანძარმა ათეულობით ჰექტარი ტყე რომ გაანადგურა, მაშინ გადაწყვიტეს ჯარის გამოყვანა. თან ამაზე სპექტაკლი დადგეს, თურმე პრემიერმა პრეზიდენტს დაურეკა და ისიც დათანხმდა.

***– პრეზიდენტი ვახსენეთ და ისიც საინტერესოა, რომ სტიქიის ზონაში ხანძრის გაჩენიდან მეხუთე დღეს ჩავიდა. მასაც კანონი ავალდებულებდა ასე მოქცევას?***

– საერთოდ რომ ჩავიდა, ეგეც გასაკვირია, მაგრამ აბა ლგბტ თემის წარმომადგენელი ეცემა ვინმეს, დღეში 3 პრესკონფერენციას გამართავდა. მაგის აპარატი ცალკე განცხადებებს გაავრცელებდა. ბორჯომის ხეობა იწვოდა, ამათ კიდევ რაღაც ნორმების დაცვა მოინდომეს და პარლამენტის შეკრებას დაელოდნენ. პარლამენტი მეორე დღეს შეიკრიბა მხოლოდ. თქვე დალოცვილებო, მთელი ბორჯომი ალში იყო გახვეული და მეორე დღეს როგორ დაელოდეთ, დაშავდებოდა რამე, დეპუტატები ღამით რომ შეკრებილიყვნენ? ისიც შეიძლებოდა, ჯარი გამოეყვანათ და მერე მიეღო საკანონმდებლო ორგანოს დადგენილება. სხვა დროს არ იცავთ კანონს და რაღა სტიქიის და უბედურების დროს მოგინდათ მისი დაცვა ზედმიწევნით.

მთელი მთავრობა ბორჯომში იჯდა და თათბირს თათბირზე ატარებდნენ. ამ დროს საქართველოს სხვა რომელიმე რეგიონში რაიმე რომ მომხდარიყო, რას აპირებდნენ. სტიქიის ზონაში იმ სამსახურების პირველი პირები უნდა ყოფილიყვნენ, ვისაც საგანგებო სიტუაციებში მოქმედება ევალება. მადლობა ღმერთს, რომ სხვა გართულებები არ შეიქმნა იმ დროს ქვეყანაში.

***– რა გართულება შეიძლებოდა მოჰყოლოდა?***

– ნებისმიერი სახის გართულება შეიძლება მომხდარიყო. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ჩვენ არც ჯარი გვყავს და ვერც საზღვარს ვიცავთ. ცოტა ხნის წინ ამერიკულ ტანკებს რომ დაახრიგინებდით, ერთი ტანკის თუ არა, ერთი სახანძრო მანქანის ჩუქება მაინც გეთხოვათ მათთვის. ძლივს ჩავაქრეთ ცეცხლი და ამის შემდეგ აშშ-ის საელჩომ ჩვენს მეხანძრეებს 500 წყვილი ცეცხლგამძლე ფეხსაცმელი გადასცა. ეს, ჩემი აზრით, იყო დაცინვა.

***– მარტო ფეხსაცმელები არ გადაუცია, ხანძარი რომ გიზგიზებდა, იან კელი ლოცულობდა. თავად ასე თქვა, ვლოცულობ თქვენთვისო.***

– ლოცულობდა, როგორ არა. ეს ისეთივე ლოცვა იყო, 2008 წელს ომის დასრულების შემდეგ სტრატეგიულმა პარტნიორმა პამპერსი და წყალი რომ გამოგვიგზავნა. ისიც დაამატა, მთელ მსოფლიოს გავაგებინეთ თქვენი უბედურების შესახებო.

ბორჯომის რაიონის გამგებელმა საერთოდ საოცრება თქვა. ტელეკამერების წინ ამაყად განაცხადა, თუ საჭირო გახდა, ხალხის ლიკვიდაციას მოვახდენთო. მესმის, რომ ექსტრემალური სიტუაცია იყო, მაგრამ ტელევიზიით გამოსვლისას ხომ შეიძლება მოემზადო და უფრო მობილიზებული იყო. ამ მხარეში ბევრი ნაცნობი მყავს და ისინი მიყვებოდნენ, რომ ასეთი დაბნეული მთავრობის წევრები არასდროს უნახავთ.

ეს გაჭირვებულები წაშლილი სახეებით დაბოდიალობდნენ და გაიძახოდნენ, თათბირი ჩავატაროთო. თათბირი კი არა, კარვების ქალაქი უნდა მოეწყოთ. რამე გართულება რომ მომხდარიყო, სად უნდა წაეყვანათ უცბად ამდენი ხალხი. კარვების ქალაქის მოწყობასაც თავისი წესები აქვს, მაგრამ ამათ ესენი არ იციან. ხელისუფლება მხოლოდ ფულის შოვნაზეა გამეცადინებული.



რას უმალავს „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილს

***– სტიქიის დღეებში საუბარი იყო რუსულ დახმარებაზე. ხელისუფლებამ გვითხრა, რომ მოსკოვმა დახმარება შემოგვთავაზა, მაგრამ უარი ვთქვითო. ამის საპასუხოდ რუსეთის საგარეო უწყებამ გაავრცელა განცხადება, რომ თბილისმა მოსკოვს დახმარება სთხოვა. ითხოვდა თუ არა საქართველოს ხელისუფლება ოკუპანტისგან დახმარებას?***

– ეჭვიც არ მეპარება, რომ სთხოვეს. ამაზე მეტყველებს ამათ მიერ გაკეთებული განცხადებები. ერთი ერთს ამბობს, მეორე – მეორეს. ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე ამბობს, გაეროს ვთხოვეთ დახმარება და ისინი დაუკავშირდნენ სხვადასხვა ქვეყნებს, მათ შორის რუსეთსო.

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ პირდაპირ თქვა, რომ ამ საკითხზე ესაუბრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კარასინს, რომელიც მას დახმარებას დაჰპირდა.

***– თუ დახმარება სთხოვეს, მერე რატომ თქვეს, რუსეთის დახმარებას არ მივიღებთო?***

– დაბნეულები იყვნენ და ამიტომ სთხოვეს. მერე უარი იმიტომ თქვეს, შეეშინდათ, პრორუსულობას დაგვაბრალებენო. ასეთი მიდგომით მაშინ დენის და გაზის მიღებაზეც უარი უნდა ვთქვათ. 580 სტრატეგიული ობიექტი ეკუთვნის რუსებს საქართველოში. ჰესებისა და ელექტროგადამცემ ხაზებს რუსები აკონტროლებენ. ასეთი მაგრები თუ ვართ, ვთქვათ უარი ამ ყველაფერზე. სამწუხაროდ, არაფრის თავი არა გვაქვს. ხანძრის ჩაქრობას თურქეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ვეხვეწებოდით. სად არის ნატოს სტანდარტი? ნატოს სტანდარტით თუ მივუდგებით საქმეს, ასეთ სიტუაციებში ქვეყანა მობილიზებული უნდა იყოს.

გარდა იმისა, რომ ხელისუფლების მატყუარა სახე გამოჩნდა, ამ სტიქიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უსუსურები არიან. რაიმე სერიოზულისგან ღმერთმა დაგვიფაროს, ესენი არაფრის გამკეთებლები არ არიან.

***– ამდენი ხანძარი იმიტომ ხომ არ არის, რომ რაღაც სერიოზულისგან უნდათ საზოგადოების ყურადღების გადატანა?***

– ამდენი ხანძარი შემთხვევით არ არის, მაგრამ, არა მგონია, ეს რაღაცისთვის კეთდებოდეს. ამათ ნამდვილად არა აქვთ იმის თავი, რომ რაღაც სერიოზული მოაწყონ. ახლა მთელი „ქართული ოცნება“ დაბოდიალობს და უპირველესი საფიქრალი კონსტიტუცია აქვთ. საკონსტიტუციო ცვლილებებში სრულად ჩაფლავდნენ და ახლა იქედან გამოძრომის გზებს ეძებენ. ჩაფლავებიდან ყველანი ხელს კულულებიანი ბიჭისკენ, ირაკლი კობახიძისკენ, იშვერენ. ის ამათკენ იშვერს ხელს.

ამათი მეორე მთავარი საზრუნავი თვითმმართველობის არჩევნებია. ყველაფერს აკეთებენ, რომ კახა კალაძე პირველივე ტურში დანიშნონ თბილისის მერად.

ამ ეტაპზე „ქართულ ოცნებას“ მეტი არაფერი აინტერესებს. კიდევ კარგი, ჩვენს მეზობლებს რაღაც ინტერესები აღარ აქვთ საქართველოს მიმართ. რუსებმა ნაციონალების დროს ყველაფერი წაიღეს, რისი წაღებაც სურდათ.

ხელისუფლების უუნარობა იქიდანაც ჩანს, რომ დღემდე ვერ მიაკვლიეს ვერანაირ ფაქტს. ამდენი ხანძარი გაჩნდა და სპეცსამსახურები ტყეში ბიდონებს დასდევენ. ტყეში ბიდონი იშვიათობა არ არის. ვიღაც, შესაძლოა, ხეებს ჭრიდა ელექტროხერხით და ბიდონით საწვავი ჰქონდა ატანილი.

ბიდონების ამბავი ძალიან მაგონებს 2 წლის წინ ატეხილ ამბავს, ნაცები სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებენო, რომ კიოდნენ. თუ ამზადებდნენ, რატომ არ გადავტრიალდით და სად არიან ეს გადამტრიალებლები, ხომ უნდა გამოიძიონ ეს საქმე? საქმის გამოძიება არავის სჭირდება. ნაცების მიერ გადატრიალების მოწყობაზე საუბარიც ამათ წისქვილზე ასხამს წყალს.

ომი არ შეგიძლია, არ შეგიძლია, ხანძარს ვერ აქრობ, ვერ აქრობ. საზღვარს ვერ აკონტროლებ, მაგრამ, ის მაინც ქენი, რომ აღმაშენებლის გამზირზე კონსტიტუციური წესრიგი დაიცვა.

***– რას გულისხმობთ კონსტიტუციური წესრიგის დაცვაში?***

– ნებისმიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოში წარწერები გაკეთებულია იმ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე და შემდეგ, თუ საჭიროება მოითხოვს, საერთაშორისო ენაზე – ინგლისურზე. თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, აღმაშენებელზე, წარწერები არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებზეა გაკეთებული. ქვევით სადღაც საწყლად აქვს ქართულ ენაზე მიწერილი. ზოგან ქართული წარწერა საერთოდ არ არის. ამას სომხური და აზერბაიჯანული წარწერებიც დაემატა. თბილისში რომ გაივლი, შეიძლება ველარ მიხვდე, სად ხარ. კანონი და კონსტიტუცია პირდაპირ გავალდებულებს სახელმწიფო ენის დაცვას.

ამ ჩაჩნებმა ეს ვერ გააკეთეს და რატომ გიკვირთ, ხანძარი რომ ვერ ჩააქრეს. კიდევ კარგი, მსოფლიოს მოდებული რადიკალური დაჯგუფებების ინტერესის სფეროში არ ვართ, თორემ არავინ იცის, რა გვეშველებოდა. ამათ არც უსაფრთხოება აინტერესებთ და არც სხვა რამე. მხოლოდ ფულის კეთებაზე არიან გამეცადინებული. საით მიექანება ქვეყანა, არავინ იცის. დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილს რაღაცებს უმალავენ და ბევრ რამეს არ ეუბნებიან, თორემ მთლად აქამდე არ მივიდოდა საქმე.

# „ვერტმფრენის ავარიული დაშვებისას საწვავის გაჟონვის ფაქტი დაფიქსირდა“

– საწვავის გაჟონვის ფაქტი ფიქსირდება, მაგრამ ამას მხოლოდ მცირე მასშტაბები გააჩნია.

ეს განცხადება გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა თამარ ბაგრატიამ გააკეთა. მისი ინფორმაციით, ბორჯომის ხეობაში, სოფელ დაბაში, მდინარე გუჯარულაზე მოწყობილი ხელოვნური აუზიდან წყლის აღების დროს ვერტმფრენის ავარიული დაშვების ადგილზე გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები იმყოფებიან და არსებულ ვითარებას სწავლობენ.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე, მყისიერად მოხდა ხელოვნური გუბურას ლოკალიზება და მდინარეში საწვავ-საპოხი მასალების გაჟონვის საფრთხე არ არსებობს.

– ვერტმფრენის ავარიული დაშვებისას, მაშინვე მოხდა საფრთხის ლოკალიზება, კერძოდ მდინარე დაბინძურებისგან მთლიანად იყო იზოლირებული. მე პირადად შევაფასე არსებული სიტუაცია და შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ მდინარეს არანაირი დაბინძურების საფრთხე და შესაბამისად ეკოსისტემას არ ემუქრება.

საწვავის გაჟონვის ფაქტი ფიქსირდება, მაგრამ ამას მხოლოდ მცირე მასშტაბები გააჩნია, ვიზუალური დათვალიერებითაც ჩანს ეს, არც მკვეთრი სუნი იგრძნობა და ასე შემდეგ და შესაბამისად, შეგვიძლია შევაფასოთ, რომ რაღაც დიდ რისკებთან და საფრთხეებთან არ გვაქვს საქმე. თუმცა, მთლიანად არის ლოკალიზებული დაბინძურებული წყალი მდინარიდან. ამიტომაც, არანაირი საფრთხე მდინარეს, შესაბამისად ეკოსისტემას არ ემუქრება, – განაცხადა გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა თამარ ბაგრატიამ.

შეგახსენებთ, რომ ბორჯომის ხეობაში ვერტმფრენი დღეს დილით ჩამოვარდა. სასაზღვრო პოლიციის კუთვნილი ვერტმფრენი მაშინ ჩამოვარდა, როდესაც წყლის აუზს ავსებდა.

# „ივანიშვილი სამეგრელოს მოადგა“

ბოლო ორი კვირაა, ბიძინა ივანიშვილი ასწლოვან ხეებს უკვე სამეგრელოში ეძებს. ექსპრემიერის წარმომადგენლებმა ზუგდიდის 3 სოფელი დაიარეს (დიდინეძი, ორული, ახალაბასთუმანი). გავრცელებული ინფორმაციით, სოფლებში პირადად ივანიშვილიც იყო ჩასული და მოსახლეობას, ვისაც უნიკალური ხეები სახლის ეზოში აქვს ფულს სთავაზობს, ხოლო ისინი, რომლებიც ოჯახების კუთვნილება არაა და ქუჩაში დგას, უნებართვოდ მიაქვს.

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, ივანიშვილმა ერთ-ერთ ხეში ოჯახს 100 ათასი შესთავაზა თუმცა უარი მიიღო.



ხეების გასატანად საგანგებოდ გზაც კეთდება, რისთვისაც თანხა ბიუჯეტშია გათვალისწინებული.

აღნიშნული ფაქტის ნაციონალური მოძრაობის ზუგდიდის საკრებულოს წევრი ანი წითლიძეც ადასტურებს.

– ბიძინა სამეგრელოსაც მოადგა. ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლებმა დაიარეს ზუგდიდის სოფლები დიდინეძი, ორული, ახალაბასთუმანი და შეათვალიერეს ხეები. საუბარია 200-წლიანი ხეების ყიდვასა და სამეგრელოდან გატანაზე. ამისთვის სპეციალური გზის გაყვანა დიდინეძიდან უნდა დაიწყონ, რაშიც უშუალოდ არიან ჩართული ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ჩემი ინფორმაციით, პირადად ივანიშვილიც იმყოფებოდა ყველა ამ სოფელში, – აცხადებს ანი წითლიძე.

# გიგა ბუკია: „ულტიმატუმებზე გადასული ოპოზიციის ნამდვილი მიზანი ძალიან გაუგებარია“

მარიამ მჭედლიშვილი

25 აგვისტოს საპარლამენტო უმრავლესობამ გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმად, ოპოზიციის მოთხოვნები ულტიმატუმის სახეს ატარებს და ოპოზიციონერებთან კონსულტაციების გაგრძელებას აზრი არ აქვს. როგორც ცნობილია, უმრავლესობის ინიციატივით ოპოზიციის აქტიურ ნაწილთან გაიმართა შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილე ოპოზიციამ უმრავლესობას თავისი წინანდელი მოთხოვნები წარუდგინა. მათ შორის, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული წესით ჩატარება. ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელს, კონსერვატორების ფრაქციის თავმჯდომარე გიგა ბუკიას.

**გიგა ბუკია:**

– კონსტიტუციის პროექტი ორი მოსმენით მიღებულია. მიუხედავად ამისა, ჩვენ გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ გვეცადა შეთანხმება ოპოზიციასთან. ამ შეხვედრას ვესწრებოდი. უმრავლესობის შეთავაზების თანახმად, ოპოზიციას უნდა წარმოედგინა ის წინადადებები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ის მხარს დაუჭერდა კონსტიტუციას. ამის საპასუხოდ ოპოზიციამ წამოაყენა ოთხი მოთხოვნა. ოპოზიციამ განაცხადა, რომ საუბარს დაიწყებს მხოლოდ ამ მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში. ამ პოლიტიკოსებმა დააყენეს წინაპირობები დიალოგის დასაწყებად. კონსტიტუციის შესაძლო მხარდაჭერამდე საქმე არც მისულა. ეს ნამდვილი ულტიმატუმია. რატომღაც ყველას დაავიწყდა, რომ კონსტიტუციის იმ პროექტში, რომელსაც ახლა ასე ებრძვიან, აისახა ოპოზიციის, არასამთავრობო სექტორისა და ექსპერტების წინადადებების უდიდესი ნაწილი.



„ეს არ იქნება ერთპარტიული კონსტიტუცია“

***– შეუთანხმებელია, ძირითადად, საარჩევნო საკითხები.***

– ოპოზიციის უკმაყოფილებას ეს საკითხები იწვევს, მაგრამ საკონსტიტუციო კომისიის ბოლო სხდომებზე კენჭისყრა უპრობლემოდ იმართებოდა და თანხმობა იყო. კომისია გაგებით მოეკიდა იმას, რომ პროპორციულ სისტემაზე 2024 წლიდან გადავალთ. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს კარგი კონსტიტუცია იქნება. მას ვენეციის კომისიამაც დადებითი შეფასება მისცა.

***– ამავე ვენეციის კომისიამ პოლიტიკურ პარტიებს კონსენსუსისკენ მოგიწოდათ და სტრასბურში შეხვედრაც დაიგეგმა. მომხდარიდან გამომდინარე, სტრასბურში ჩასვლას აზრი დაეკარგა?***

– სტრასბურის შეხვედრაზე ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ. ამაზე ჯერ უმრავლესობაში ვიმსჯელებთ. ოპოზიციასთან კონსულტაციებს, ზოგადად, აზრი დაეკარგა.

## „კონსტიტუციის პროექტში ოპოზიციის, არასამთავრობო სექტორისა და ექსპერტების წინადადებების უდიდესი ნაწილი აისახა“

***– თქვენი ოპონენტები დარწმუნებული არიან, რომ თუ კონსტიტუცია შეუთანხმებლად დამტკიცდა, ამ ერთპარტიულ კონსტიტუციას მწვავედ გააკრიტიკებენ საერთაშორისო და ევროპული ორგანიზაციები.***

– ეს არ იქნება ერთპარტიული კონსტიტუცია. უმრავლესობაში 5 პარტია ვართ გაერთიანებული. ყველას გვქონდა ინიციატივები. ისინი ასახულია. „ქართული ოცნების“ უმრავლესობა ხალხმა აირჩია. საკონსტიტუციო კომისიამ სხვების მოსაზრებებიც გაითვალისწინა. ამიტომ ეს დოკუმენტი ვერ ჩაითვლება ერთპარტიულად.

***– ოპოზიციასთან შეხვედრის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმაზე, რომ უმრავლესობა მზადაა, 2020 წლის არჩევნები უბარიეროდ ჩაატაროს. ასეთი ინიციატივა მართლა არსებობდა?***

– იყო ასეთი ინიციატივა. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ წავედით დათმობაზე და 5%-იანი ბარიერი 2020 წლის არჩევნებისათვის 3%-მდე დავწიეთ. კონსენსუსის მისაღწევად მზად ვიყავით, მაქსიმალურად დაგვეწია საარჩევნო ბარიერი. ეს იქნებოდა კარგი შანსი პატარა პარტიებისათვის პარლამენტში მოსახვედრად. ოპოზიცია რატომღაც ულტიმატუმების გზას დაადგა. ულტიმატუმებზე გადასული ოპოზიციის ნამდვილი მიზანი ძალიან გაუგებარია. ბევრ მათგანს დამოუკიდებლად იმაზე ბევრად უარესი შედეგი აქვს დადებული წინა წლების არჩევნებზე, ვიდრე, მაგალითად, კონსერვატიულ პარტიას დამოუკიდებლად. ასეთი პარტიები გველაპარაკებიან ერთპარტიულ კონსტიტუციაზე და დაჟინებით მოითხოვენ პროპორციულ სისტემას მომავალი არჩევნებისათვის. დავუშვათ, 2020 წელს არჩევნები პარტიული წესით გაიმართა. რა შედეგი უნდა აჩვენონ ამ ურეიტინგო ორგანიზაციებმა, მაგალითად, ქარდავასა და დავითაიას პარტიებმა? დიდი ხანი ვიყავი ოპოზიციაში. ვიცი, რომ პარტიას ყოველთვის აქვს ამოცანები, მოტივაცია. ამ პარტიების მხრიდან ეს არ ჩანს. ისინი ორკესტრირებულად ასხამენ წყალს ნაცმოძრაობის წისქვილზე.

***– ნაცმოძრაობას ამ პარტიებზე ბევრად დიდი რეიტინგი აქვს. ადრე სულ გვესმოდა, რომ სააკაშვილი ამ პარტიის საშუალებით არეულობასა და გადატრიალებას აპირებს. ახლა აღარ აქვს ამგვარი გეგმები?***

– ნაცმოძრაობა კრებითი სახელია ძალებისა, რომლის ინტერესებსაც შეიძლება ატარებდნენ ურეიტინგო პარტიები. მათი პოზიცია აუხსნელია. რაც შეეხება არეულობას, გულში ვის რა უდევს, არ ვიცი. არეულობის მცდელობას პასუხი გაეცემა.

***– შემოდგომაზე ქუჩაში გამოსვლები დაანონსებული აქვთ „ქართულ მარშს“, პატრიოტთა ალიანსს. ლეიბორისტები ხალხს დენის გაძვირების საწინააღმდეგო აქციებზე უხმობენ.***

– ვინ რას ფიქრობს და აკეთებს, გემოვნების ამბავია. არ ვიცი, ვის რა მიზანი აქვს. ხალხი თავის არჩევანს არჩევნებზე გააკეთებს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კარს მოგვადგა და პარტიების შესაძლებლობები იქ გამოჩნდება. ვინ რას ბაქიბუქობს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ზოგადად, ქვეყნის სტაბილური განვითარება არასდროს ყოფილა ყველა ძალის ზრუნვის საგანი. არავის კონკრეტულად არ ვგულისხმობ, მაგრამ ყველა პარტია, ყველა ლიდერი ან არასამთავრობო ორგანიზაცია არ მოქმედებს ქვეყნის ინტერესების შესაბამისად. სულ იმას გაიძახიან, რამდენი პარტიააო! არასამთავრობო ორგანიზაციები პარტიებზე ბევრად მეტია. მათი რაოდენობა 23.000-ია. ვინ ვის ემსახურება და რას აკეთებს, სპეცსამსახურების გასარკვევია. ყველა მათგანი ქვეყანაზე ნამდვილად არ ზრუნავს.

# „თუ აშშ საქართველოსთვის საიმედო პარტნიორი არ აღმოჩნდება, თბილისს პრობლემები გაუჩნდება“

სომხურმა გამოცემა „The Armenian Interest„-მა გამოაქვეყნა ინტერვიუ ცნობილ ამერიკელ პოლიტოლოგთან, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორ ფრენსის ფუკუიამასთან, რომელშიც იგი საუბრობს რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობაზე, სომხეთის საერთაშორისო მდგომარეობასა და რუსეთთან მისი დამოკიდებულების შუქ-ჩრდილებზე. ფრენსის ფუკუაიამა ინტერვიუში საქართველოსაც მოიხსენიებს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან:

***– რა არის აშშ-ისა და რუსეთის დღევანდელი დაპირისპირების ძირითადი მიზეზები? არსებობს თუ არა ამ კრიზისის დარეგულირების გეგმა?***

– ამჟამინდელი კრიზისი უპრეცედენტოა. რა თქმა უნდა, მოსკოვის მოქმედებამ ყირიმის მიტაცებითა და უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში – დონბასში მიმდინარე ომით დაარღვია რუსეთის ურთიერთობა აშშ-სთან და დასავლეთ ევროპასთან. უცნაური რა არის, იცით? მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში აშშ-ის მთავრობა აღიარებს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას და ამიტომაც გამოუცხადა სანქციები (ეს ჩვეულებრივი მოვლენაა საერთაშორისო ურთიერთობებში), იმავდროულად, როგორც ჩანს, ამერიკის პრეზიდენტს რუსეთი უყვარს – დონალდ ტრამპს ხომ სანქციების პოლიტიკა თავიდანვე არ მოსწონდა.



პრეზიდენტის ქცევა გვაფიქრებინებს, რომ იგი რუსეთისადმი შედარებით უფრო კეთილგანწყობას ამჟღავნებს, ვიდრე სხვა სახელმწიფოების დემოკრატიებთან. ეს აბსოლუტურად წარმოუდგენელი მიუღებელი სიტუაციაა, როცა აშშ-ის პრეზიდენტი მხარს უჭერს აშშ-ის ყველაზე დიდ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს. მე ვერ ვიხსენებ ვერცერთ მსგავს შემთხვევას ჩვენი ისტორიიდან. რასაკვირველია, ჩვენ ქვეყნებს შორის დიალოგი აუცილებელია, მაგრამ მე პირადად დონალდ ტრამპს არ ვენდობი, თუმცა ვწუხვარ, რომ ჩვენ რუსეთთან ასეთ მტრულ დამოკიდებულებაში ვართ...

***– ახდენს თუ არა გავლენას აშშ-რუსეთის ურთიერთობაში არსებული კრიზისი სომხეთზე, რომელიც რუსეთის ინტეგრაციული პროექტის – ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრია? და თუ ახდენს, როგორი სახით?***

– აშკარაა, რომ რუსეთის მოქმედების არეალის გაფართოება, ახლო საზღვარგარეთის გაკონტროლების მიზნით, სომხეთისათვის სიკეთის მომტანი არ უნდა იყოს. საქართველოსაგან განსხვავებით, სომხეთი რუსეთთან ინტეგრაციას შეეცადა – ნაცვლად იმისა, რომ დასავლეთის მხარეზე ყოფილიყო. რასაკვირველია, ამ თვალსაზრისით თქვენი ქვეყანა საქართველოსავით მოწყვლადი არაა.

თუ შეერთებული შტატები საქართველოსთვის საიმედო პარტნიორი არ აღმოჩნდება, მაშინ თბილისს პრობლემები გაუჩნდება. ამ თვალსაზრისით თქვენ უფრო მეტად ხართ დაცული. მეორე მხრივ, სომხეთის დამოუკიდებლობის ხარისხი შედარებით ნაკლებია.

თქვენ რუსული პროექტები და რუსული სისტემა აღიარეთ და, აქედან გამომდინარე, დასავლეთთან კავშირების გაფართოების ისეთი შესაძლებლობა არ გაქვთ, როგორიც საქართველოს.

# ლევან ბეჟაშვილი: „საარჩევნო კომისიების პოლიტიკური ნიშნით დაკომპლექტება ამჯერად მარტვილში მოხდა“



– მორიგი დარღვევა და საოლქო საარჩევნო კომისიების პოლიტიკური ნიშნით დაკომპლექტება ამჯერად მარტვილში მოხდა, – ამის შესახებ ბრიფინგზე ნაციონალური მოძრაობის შტაბის „ველარ გააყალბებ“ თანათავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილმა განაცხადა.

ლევან ბეჟაშვილის თქმით, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბებსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში საქმიანობის კორელაცია და ურთიერთშეთანხმებული მოქმედება გრძელდება.

– ამჯერად, ჩვენ გვაქვს მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის მაგალითი, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი ობიექტური კრიტერიუმები არ დაადგინა.

პრაქტიკულად, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბები ცდილობენ საოლქო საარჩევნო კომისიების კვოტით დანიშნონ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები. ჩვენ გვაქვს ამის დამადასტურებელი კონკრეტული ჩანაწერები, სადაც ადამიანები აღნიშნავენ, რომ სწორედ ქართული ცონების საარჩევნო შტაბიდან დაურეკეს მათ და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობაზე განცხადების შეტანა დაავალეს.

ასევე, გვაქვს ჩანაწერები, რომლითაც დასტურდება, რომ განცხადებების შეტანა კანონის დარღვევით ხდება. ანუ, კონკრეტული პირის ნაცვლად განცხადება შეაქვს გამგებლის რწმუნებულს, ან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, სულ მცირე, საოლქო კომისიებისათვის მოთხოვნა უნდა დაადგინოს, რომლის მიხედვითაც საოლქო კომისიის წევრების ობიექტური შერჩევა მოხდება, რათა შემდგომ არჩევნები ჩატარდეს ობიექტურად, – განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა.

# ფოთში საპროტესტო აქცია გაიმართა

27 აგვისტოს ფოთში ფალიაშვილის ქუჩის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იტყობინება, მათ კომპანია GCC-ის მუშაობა გააპროტესტეს. აქციის მონაწილეები ამბობენ, რომ ცემენტის ქარხნიდან მტვერი მუდმივად იფრქვევა, რის გამოც ჯანმრთელობის პრობლემა ექმნებათ.

– შეწუხებულები ვართ, რადგან ამ ქარხნიდან დაახლოებით 100 მეტრში ვცხოვრობთ. ჯერ საშინელი ხმაური მოდის, მერე კიდე მტვერი იფრქვევა. ფანჯარას ვერ ვაღებთ, გარეთ ვერ გამოვდივართ. გვესმის, რომ თითქოს რაღაც ფილტრებს აყენებენ, რაღაც ზომებს მიმართავენ, მაგრამ შედეგი არაფერი არ არის და ეს ყველაფერი ჩვენი სიცოცხლის ხარჯზე ხდება. ხომ შეიძლება, იმუშაოს ქარხანამ ისე, რომ ჩვენი ჯანმრთელობა არ განადგურდეს. დილაობით ბურუსითაა მოცული ქარხნის მიმდებარე ტერიტორია, არაფერი ჩანს. მოვითხოვთ, დაიცვან სტანდარტები და ის ნორმები, რაც კანონითაა გათვალისწინებული. გვითხრეს, რომ სამშაბათს კომპანიის ხელმძღვანელი შეგვხვდება, იმედია დავილაპარაკებთ და სათანადო ზომებს მიიღებს, – განაცხადა აქციის მონაწილე რუსუდან ღურჯიამ.



# გენგეგმით, ძველი თბილისი ინგრევა?!

თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა მზადაა, მაგრამ მისი განხილვა არ დაწყებულა. წესით, თბილისის საკრებულოს გადასაწყვეტია, დაამტკიცებს თუ არა, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რომელი იტვირთავს ამას საკუთარ თავზე: ამ მოწვევის თუ საკრებულოს ახალი შემადგენლობა, რომლებიც დედაქალაქის კანონმდებლების სტატუსს 21 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მიიღებენ.

იმ მარტივი მიზეზით, რომ დოკუმენტი სპეციფიკურია, ანუ სპეციალურ ცოდნას მოითხოვს შესაფასებლად, მისი განხილვა ურბანისტებთან ვცადეთ და მეტად სამწუხარო რეალობაც აღმოვაჩინეთ: ქვეყანა პროფესიონალი ურბანისტების მწვავე დეფიციტს განიცდის და ვინც არის, აზრის საჯაროდ გამოთქმას ერიდება, რადგან მათი ყოფნა-არყოფნა დედაქალაქის ოფიციალურ სამსახურებზეა დამოკიდებული და სავსებით ბუნებრივია, რომ ურთიერთობის გაფუჭებას უფრთხიან, რადგან ეს მათ პროფესიულ საქმიანობას წერტილს დაუსვამს.

მეორე მხრივ, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა სასიცოცხლო მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელზეც პირდაპირაა დამოკიდებული თბილისის, როგორც ქალაქის და თბილისის მოსახლეობის მომავალი როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ისე სოციალურ-ეკოლოგიური, შემოთავაზებული ვარიანტი კი, სპეციალისტების თქმით, ვერ ჭრის თბილისის წინაშე არსებულ პრობლემებს – უსისტემო მშენებლობებისა და გადატვირთული ქუჩების ჩათვლით, არც განვითარების სტრატეგიულ ხედვას გვთავაზობს, დღეისთვის არსებულ რიგ პრობლემებს საერთოდაც იგნორირებას უკეთებს და, სხვათა შორის, ძველი თბილისის იერსახის გაქრობის საფრთხის წინაშეც გვაყენებს.

იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიონალი ურბანისტის მოსაზრება მნიშვნელოვანია, ჩვენი რესპონდენტი, რომლის ვინაობასაც არ დავასახელებთ, განგვიმარტავს, რატომ არ გამოგვადგება მიწათსარგებლობის გეგმის შემოთავაზებული ვარიანტი და რა სჭირდება თბილისს, რომ არა მხოლოდ გადარჩეს, არამედ სრულფასოვან ქალაქად იქცეს, რაზეც თბილისის განვითარების გენერალური გეგმა არაფერს ამბობს.

***– რა არის თბილისის მთავარი პრობლემა და მისი გადაჭრა როგორ გესახებათ?***

– თბილისის, გნებავთ, საბჭოური და გნებავთ, პოსტსაბჭოური განაშენიანება მთლიანადაა გასაჯანსაღებელი ან, სულაც, გასარემონტებელი. თბილისს ახალი ნაგებობების აშენება არ სჭირდება, რადგან ქალაქში ისედაც ბევრი ცარიელი შენობაა. ასევე, შესაქმნელია ლანდშაფტის სისტემა. საერთოდ, ერთიანი ლანდაფშტის გეგმის შექმნა ცალკე პრობლემაა.

***– ვიზუალურად ლამაზი თუ ეკოლოგიის თვალსაზრისით?***

– ეკოლოგიისა და რეკრეაციის თვალსაზრისით, რადგან დიდი ქალაქების მცხოვრებლებს სჭირდებათ დასვენება იმ გამომფიტავი ცხოვრებისგან, რაც ახასიათებს ქალაქებს. აი, ამას ჰქვია რეკრეაცია. მთელ თბილისს უნდა ჰქონდეს ლანდშაფტური გეგმა, რომელიც დაკავშირებული იქნება ქალაქის გარე ტერიტორიებთან და უზრუნველყოფს გარე ლანდშაფტების შემოსვლას ქალაქში. ეს არის გამოწვევა, რომელსაც ეს გენგეგმა არათუ ვერ პასუხობს, არამედ საერთოდ არც სვამს მსგავს პრობლემას.

ქალაქი გასაჯანსაღებელია მშენებლობის თვალსაზრისითაც. ეს ესთეტიკურ მხარესაც გულისხმობს, მაგრამ ამჯერად მე ვლაპარაკობ ჰიგიენურ გაჯანსაღებაზე, რაც გულისხმობს განიავებას, განათებას ასევე, გასაჯანსაღებელია სამშენებლო სუბსტანციებიც. ნაგებობები ინგრევა, მაგრამ მათგან ყველა არ არის დასანგრევი, რაც შესანარჩუნებელია, უნდა შენარჩუნდეს, რაც დასანგრევია, უნდა გამოიცვალოს. რაც მთავარია, უნდა შენარჩუნდეს ის შენობები, რომლებსაც აქვს ისტორიული სახე, რასაც ხალხი მიჩვეულია. სამწუხაროდ, არც ამ ღონისძიებებს სახავს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. ეს ღონისძიებები გულისხმობს მოსახლეობის ზომიერ გამჭიდროებასაც. ოღონდ ეს არ უნდა გაკეთდეს თვითმიზნურად, არამედ იმ უბნის გასაჯანსაღებლად. ახალ სახლებში შედის ახალი მოსახლეობა, სხვა შესაძლებლობის მქონე; ამდენად, გამჭიდროება ისე უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ ძველი მოსახლეობაც დარჩეს და ახალიც შეერიოს და არა ისე, რომ განიდევნოს ძველი მოსახლეობა, რაც დაიწყო წინა ხელისუფლების დროს.

***– პროექტს – „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ გულისხმობთ?***

– დიახ, ამ პროგრამით, ადგილობრივები უნდა გაეყვანათ და მათი საცხოვრებლები უნდა დაეთმოთ მდიდრებისთვის, რომლებსაც ექნებოდათ ფული საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. ეს სოციალურ გენოციდს ჰგავდა, ქალაქმშენებლურ ფაშიზმს. მსგავსი რამ რომ არ მოხდეს, ისეთი ღონისძიებები უნდა გატარდეს, მათ შორის, გამჭიდროების, რომ გამოირიცხოს ადგილობრივი მოსახლეობის იქიდან გაყვანა. ერთი სიტყვით, ქალაქის გაჯანსაღება, გარემონტება არის დღევანდელი თბილისის მთავარი გამოწვევა, რაც გულისხმობს როგორ ჰიგიენურ, ისე ინფრასტრუქტურულ გაჯანსაღებას. თბილის მთელი ტექნიკური ინფრასტრუქტურა არის დაძველებული და მოშლილი. ქალაქი უნდა შეკეთდეს, იმიტომ რომ ასე ვეღარ ვიცხოვრებთ. ადამიანებს უნდა შექმნათ უკეთესი საცხოვრებელი და სამუშაო პირობები. დიდი ხანია, ვაკვირდებით პროცესს, თუ როგორ ანაცვლებს არსებულ მოსახლეობას უფრო ღარიბი ახალმოსული მოსახლეობა. სახლები ინგრევა, ვისაც კი შესაძლებლობა აქვს, გარბის და იქ შედის ახალი, უფრო ღარიბი. ეს პროცესი როგორმე უნდა შეწყდეს, ისეთი პირობები უნდა შეიქმნას, რომ მოსახლეობა დაფუძნდეს და წელში გაიმართოს. თბილისის ძველ უბნებში ძალიან ღარიბი ხალხი ცხოვრობს.

***– ძველი, გასარემონტებელი შენობები დაავადებების წყაროცაა. დაავადებული შენობები აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობასაც. თბილისის ძველ უბნებში სუნიც კი დგას სინესტესიძველის.***

– მთავარი პრობლემაა ობი, რომლის წინააღმდეგაც აუცილებელია ბრძოლა. აი, ეს იგულისხმება ჰიგიენურ გაჯანსაღებაში, ობი გამოიწვია ნესტმა, ცუდმა განიავება-გამზეურებამ. ეს გამოსასწორებელია, რადგან ასეთი სახლი ისევ დგას. ამიტომ ის უნდა შეკეთდეს. არადა, მთელი ქალაქი ასეთ მდგომარეობაშია. ამდენად, უზარმაზარი ღონისძიებებია გასატარებელი, რომ გადარჩეს.

***– იმას, რასაც თქვენ ამბობთ, ქალაქის სრულ ჯანსაღება-შერემონტებას, ანუ თბილისის მთავარ გამოწვევას მიწათსარგებლობის გენგეგმა ითვალისწინებს მინიმალურ დონეზე მაინც?***

– ეს არაა ასახული გენერალურ გეგმაში. არადა, გასაჯანსაღებელია თბილისის კორპუსების ნაწილიც. გეგმაში ლაპარაკია ცარიელი ტერიტორიების ათვისებაზე, მაგრამ გეგმა არაფერს ამბობს სისტემურ გაჯანსაღებაზე, ერთიანი ლანდშაფტური სისტემის შექმნაზე და სატრანსპორტო სქემის მოგვარებაზე. სატრანსპორტო სქემაზე საერთოდ არაფერს ამბობს ახალს: ძველი, უკვე არსებული სქემაა გადატანილი. არადა, აუცილებელია მობილობის პრინციპულად ახალი ხედვა.

***– მობილობის ახლებური ხედვა რა პრობლემას გადაჭრის, გარდა საცობებისა?***

– მობილობის პრობლემას ვერ გადავჭრით, თუ არ შევამცირეთ ინდივიდუალური ტრანსპორტის რაოდენობას ქალაქში. გზების ფართის გაზრდით ეს პრობლემა არ გადაიჭრება. თუმცა დღემდე ასე იყო: სამანქანო გზის გაფართოებითა და ახალი ხიდების აგებით ცდილობდნენ დაეტიათ მანქანები. ეს ილუზიაა და განვითარებულმა სამყარომ ათეული წელია, იცის, რომ ეს ილუზიაა. ამდენად, მთავარია, შევამციროთ მანქანები რაოდენობა და გაიზარდოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ძვირი უნდა გახდეს ადამიანისთვის საკუთარი მანქანით გადაადგილება და იაფი, ხელსაყრელი და დამამშვიდებელი უნდა იყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ფეხით, ველოსიპედით მგზავრობა. ამაზე გენგეგმა არაფერს ამბობს.

ისევე, როგორც არაფერს ამბობს ქუჩების მოწყობაზე: ქუჩები საზოგადოებრივი სივრცეა, სადაც მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრება. ჩვენთან ეს სივრცე დაიკავა ტრანსპორტმა. ავტომობილებმა დაიკავა ქუჩათა მთელი ქსელი და ისინი გადააქცია საკომუნიკაციო არხებად. ამის შესახებ გენგეგმა არაფერს ამბობს და ქუჩის ერთადერთ ფუნქციად ისევ ტრანსპორტის დაყენება რჩება.

***– აბა, ეს გენგეგმა რას ამბობს?***

– რას და, მხოლოდ ზოგად რამეებს. მაგალითად, იმას, რომ რომ ქალაქი მწვანე უნდა იყოს, რომ მდინარე უნდა ჩაერთოს ქალაქის განვითარებაში. რომ მოკლე გზების ქალაქი უნდა გახდეს, ანუ ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ყველაფერი ახლოს იყოს, მაგრამ არ ამბობს, რის საფუძველზე. მოკლე გზების ქალაქი შეიძლება, გახდეს გამჭიდროებით, თუ დაანგრევ სამსართულიან სახლებს და ააშენებ 10 ან 20-სართულიანებს. მაგრამ ამას ხომ უამრავი თანმდევი პროცესი მოჰყვება?! მაგალითად, სჭირდება საკანალიზაციო სისტემა. მოკლედ რომ ვთქვა, არაფერს ამბობს გენგეგმა, თუ როგორი იქნება ეს მოკლე გზების ქალაქი, რის ხარჯზე გაკეთდება. ამბობს, რომ ბევრი სიმწვანე კარგია ქალაქში, მაგრამ არ ამბობს, როგორ უნდა მოვაღწიოთ, რა ღონისძიებები უნდა გავატაროთ.

***– თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე ამბობს, რომ თბილისში დამთავრდება „ხრუშჩოვკების“ ეპოქა. ეს გენგეგმა ამ ტიპის განახლებას გულისხმობს?***

– არა, გენგეგმა ასეთ რამეს არ ეხება, თუმცა მაგალითად, დიღმის მასივში მჭიდრო საცხოვრებელი ზონის შექმნას აპირებენ, თუმცა ისევ უცნობია, როგორ მოხერხდება მისი გამჭიდროება. თუმცა გენგეგმა ასეთ დეტალებს არ გეგმავს, განაშენიანების გეგმებით უნდა გადაწყდეს, რა ბედი ეწევა ასეთ ადგილებს. სად გაიყვანენ იმ ხალხს, რომელიც იქ ცხოვრობს? როგორ უნდა გააუმჯობესო მათი საცხოვრებელი პირობები? გამოხშირო და სხვაგან გადაიყვანო და ამასობაში ნაგებობები გაარემონტო?! 50 წლის წინათ აშენებული შენობა ბევრ ენერგიას კარგავს, ის უნდა შეიფუთოს და გარეგნულადაც გალამაზდეს, რადგან მახინჯი იერსახე აქვს. ამის გამოსწორება შესაძლებელია, მაგრამ ეს ფული დაჯდება. ვინ დადებს ამ ფულს?

***– ასეთი გეგმის მიღება ხარჯთაღრიცხვების გარეშე შესაძლებელია?***

– ამ ტიპის გეგმას ხარჯთაღრიცხვა არ უნდა ახლდეს, ფინანსური მხარეს წინასწარ უთანხმებენ ქალაქის სამსახურებს და ქალაქის სამსახურები უნდა ფიქრობდნენ, რა დაუჯდება ეს ქალაქს. ჩვენ ისიც არ ვიცით, გამოჩნდება თუ არა ინვესტორი, რომელიც ააშენებს ახალ შენობებს.

***– მეტროს, ტრამვაის ლიანდაგს ინვესტორი არ დააგებს, არც ძველ შენობებს გაამაგრებს, არც მიწისქვეშა კომუნიკაციებს მოაწესრიგებს და არც ქუჩებს აქცევს საზოგადოებრივ სივრცედ?***

– ეს ქალაქის ბიუჯეტით გასაკეთებელი საქმეებია. თუ ასეთი ღონისძიებებია დაგეგმილი, უნდა იყოს შეთანხმებული ქალაქის შესაბამის სამსახურებთან, რომ, მაგალითად, მომავალ ათ წელიწადში იქნება თუ არა ამის შესაძლებლობა. ანუ საქალაქო სამსახურთან უნდა იყოს მიღწეული პრინციპული შეთანხმება, რომ რომ ეს ღონისძიებები განხორციელდება. მიწათსარგებლობის გეგმა არის ლოკალური კანონი, სამართავი კანონი.

***– და თუ ის დამტკიცდა, ნიშნავს, რომ მის ჩარჩოებს ვერ გასცდები, არადა, ის თბილისის წინაშე მდგარ პრობლემებს ვერ პასუხობს და არ ასახავს. ესე იგი, პირიქით, მუხრუჭის ფუნქციას შეასრულებს.***

– ეს, ძირითადად კეთილი სურვილების გეგმაა, გათვლები ძალიან ზოგადია. როგორც გითხარით, ეს არის ქალაქის მმართველობის დოკუმენტი და საქალაქო სამსახურები უნდა ფიქრობდნენ, რას როგორ გააკეთებენ და არის თუ არა რეალისტური. ეს სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებებია, ეს გეგმა ნიშნავს უამრავ რეჟიმს, რომელიც იმოქმედებს კერძო პირებისთვისაც.

რაც იმ გეგმაში წერია, შეიძლება, არც არასდროს გაკეთდეს, გეგმა იმდენადაა რეალისტური, რამდენადაც მასში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებმა. მიწათსარგებლობის გეგმის შექმნის პროცესი არის მთელი ამ უწყებების ერთობლივი მუშაობის შედეგი.

***– და როდის გამოჩნდება, ეს გეგმა რეალისტურია თუ არა?***

– 15-20 წელიწადში გამოჩნდება, არის თუ არა რეალისტური. ეს გეგმა არ ლაპარაკობს, რა უნდა გაკეთდეს 2030 წლამდე. აქ მე ვხედავ ზონებს, რომ აქ და აქ იქნება ამდენი სიმჭიდროვე. მაგრამ არ არის ახსნილი, რისთვისაა საჭირო ეს სიმჭიდროვეები და რატომ უნდა იყოს ამდენი. მოქმედი გეგმის პრობლემა იყო ის, რომ მშენებლობებს სახავდა ინვესტორის სარგებლიანობის მიხედვით. მაგალითად, ვერეს ხეობაში იყო ყველაზე მაღალი სიმჭიდროვე იმიტომ, რომ იქ კარგ ფულს იშოვიდა ინვესტორი. ახალ გენგეგმაში ასეთი მიდგომა ნაწილობრივ შენარჩუნებულია. გეგმაში არ ჩანს, რას უპირებენ ძველ ქალაქს. იმ მონაცემებით, რაც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაშია, შეიძლება, ძველი ქალაქის დანგრევასაც აპირებდნენ და ახალი სახლების აშენებასაც.

***– იმის თქმა გინდათ, რომ დაგეგმილია ძველ თბილისში მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა რაც გულისხმობს მის ნაცვლად სხვა ნაგებობების აშენებას? ძველი უბნების გარდა ამ ქალაქში აღარაფრისთვის შეიხედება?!***

– დიახ, რუკაზე ასე ჩანს. მე ვამბობ, რასაც ვხედავ: გეგმა არ ამბობს, როგორ უნდა გაიზარდოს სიმჭიდროვე. უნდა დაანგრიონ ძველი თბილისი და ახალი ააშენონ?! ეს ხომ უკვე სხვა ქალაქი იქნება?!



**ურბანისტები „სითი-ინსტიტუტ საქართველოს“ მიერ შედგენილ გენგეგმას აპროტესტებენ**



## გიორგი მარგველაშვილმა პირველკურსელებს სტუდენტობა მიულოცა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სტუდენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღწეულ წარმატებას ულოცავს.

– ძვირფასო სტუდენტებო, გულითადად გილოცავთ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღწეულ წარმატებას. იწყება ახლის შეცნობისა და ახალი გამოცდილების შეძენის პროცესი, რომელზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თქვენი შესაძლებლობების განვითარება.

ღრმად მწამს, რომ სტუდენტობის პერიოდში მიღებულ ცოდნას და შესაძლებლობებს ჩვენი საზოგადოების განვითარების, ქვეყნის კეთილდღეობისა და წინსვლისათვის გამოიყენებთ.

წარმატებულ და საინტერესო სასწავლო წელს გისურვებთ, – ნათქვამია პრეზიდენტის მისალოცში, რომელიც გიორგი მარგველაშვილის „ფეისბუქის“ გვერდზე გავრცელდა.

გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 39 ათასი აბიტურიენტიდან სტუდენტი 28 ათასზე მეტი გახდა.

# ხეჩიკაშვილს 2 მილიონი ლარის კრედიტი აქვს აღებული, კვირიკაშვილს — 173.500 დოლარის

**საქართველოს მინისტრთა კაბინეტში ამ დროისთვის 18 მინისტრი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი შედიან. კაბინეტის წევრების უმრავლესობას ბანკებთან თუ სხვა ფინანსურ დაწესებულებებთან ფინანსური ვალდებულებები აქვს. „საქმის კურსმა“ სესხების შესახებ ინფორმაცია მათივე შევსებული დეკლარაციებიდან მოიძია.**

**თანამდებობის 19 პირიდან სასესხო ვალდებულებები 8 მინისტრს არ უფიქსირდება.**

**ყველაზე მეტი სესხი სპორტის მინისტრს აქვს – დაახლოებით 2 მილიონი ლარი, ყველაზე ნაკლები კი იუსტიციის მინისტრს – 13.686 ლარი.**

**სესხები მინისტრთა კაბინეტის წევრებს როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში აქვთ აღებული.**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი:**

• იპოთეკური სესხი – 173.500 დოლარი – ქართუ ბანკი

საქართველოს განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა:

• იპოთეკური სესხი – 65.000 ლარი – თიბისი ბანკი

• სამომხმარებლო სესხი – 13.000 დოლარი – თიბისი ბანკი

• შპს აი-ბი-ეფ-ზე გაცემული სესხი – 13.000 დოლარი;

## ქართველი მინისტრების სესხები



**სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი:**

• სესხი – 800.000 ლარი – შპს კრეს ავტო ჰაუსი;

• იპოთეკური სესხი– 513.000 დოლარი – საქართველოს ბანკი;

• სესხი – 24.000 დოლარი – თიბისი ბანკი (მისი მეუღლის, ეკატერინე ინასარიძის სახელზე)

მინისტრს დეკლარაციაში სხვა სესხებიც აქვს მითითებული, თუმცა, მათ შემთხვევაში გასავალი არ უფიქსირდება.

**საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე:**

• იპოთეკური სესხი, – 13.000 დოლარი თიბისი (მისი მეუღლის ნინო ეგრისელაშვილის სახელზე)

**ენერგეტიკის მინისტრი ილია ელოშვილი:**

• იპოთეკური სესხი – 17.500 დოლარი – საქართველოს ბანკი

• სამომხმარებლო სესხი – 30.000 ლარი თიბისი ბანკი

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი:**

• სესხის გადაფარვა ს.ს. ქართუ ბანკში – 41.000 დოლარი – საქართველოს ბანკი

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე:**

• იპოთეკური სესხი – 50.000 დოლარი – თიბისი ბანკი;

• იპოთეკური სესხი – 60.300 დოლარი – თიბისი ბანკი

**იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი:**

• სესხი სამომხმარებლო – 13.686 ლარი – საქართველოს ბანკი

**გარემოს დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი:**

• სამომხმარებლო სესხი – 30.000 ლარი – ბანკი ქართუ

**სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ვიქტორ დოლიძე:**

• იპოთეკური სესხი – 63.000 დოლარი – თიბისი

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი:**

• უძრავი ქონების სესხი– 450.000 ევრო (მის მეუღლის არმინ ჰუთენლოხერის სახელზე)

❖ ❖ ❖

ეკონომიკის მინისტრ **გიორგი გახარიას** 2017 წელს შევსებულ დეკლარაციაში 2 სესხი უფიქსირდება – 11.370 დოლარის და 2.102 დოლარის ოდენობის, რომელთა დაფარვა ამ დროისთვის უკვე დასრულებული უნდა იყოს.

ფინანსთა მინისტრ**დიმიტრი ქუმსიშვილსაც** დაფარული აქვს 20 ათასი დოლარის ოდენობის იპოთეკური სესხი.

**2017 წელს შევსებულ დეკლარაციებში სესხი არ უფიქსირდებათ:**სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილს, თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიას, ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს, შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილს.

ინფრასტრუქტურის მინისტრ ზურაბ ალავიძეს და სასჯელაღსრულების მინისტრ კახი კახიშვილს კი 2016 წელს შევსებული დეკლარაციით სესხები არ უფიქსირდებათ.

**ბიზნესმედია**

# კახეთის გზატკეცილზე ყავის ქარხანა წლის ბოლომდე აშენდება

შპს „კაფსულო“ კახეთის გზატკეცილზე ყავის ქარხნის მშენებლობას, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე დაასრულებს.

როგორც ქარხნის ხელმძღვანელი ბეჟან გურგენიძე „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, მშენებლობის დასრულება ოქტომბრის ბოლოსთვის იყო დაგეგმილი, თუმცა, ტექნიკური მიზეზების გამო, დროში გადაიწია.

– რთული კონსტრუქცია გამოდგა, ამიტომ მშენებლობა გაჭიანურდა, თუმცა პროცესი არ ჩერდება, – აცხადებს გურგენიძე.

მისივე მტკიცებით, მშენებლობა საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს და ის სავარაუდოდ, 2-3 თვეში ან მაქსიმუმ წლის ბოლომდე დასრულდება.

კომპანია შპს „კაფსულო“ პირველად საქართველოში აპარატის ყავის წარმოებას იწყებს. გურგენიძე მიმდინარე წლის მაისში „კომერსანტთან“ აცხადებდა, რომ კომპანია წლის ბოლომდე ბაზარზე პირველ, სატესტო პროდუქციას გამოიტანდა.

როგორც დღეს გურგენიძე განმარტავს, პროექტში მშენებლობის პროცესზე და დასრულების ვადაზე უფრო მნიშვნელოვანი ყავის ხარისხი, ტექნოლოგია და მასზე მომუშავე კვალიფიციური კადრია.

– ჩვენ ვსწავლობთ. თანამშრომლებს ტრენინგებზე და კვალიფიკაციის ასამაღლებლად პერიოდულად ვაგზავნით ხოლმე ესპანეთში, იტალიაში, გერმანიაში, – აცხადებს გურგენიძე.



„კომერსანტის“ კითხვაზე, რა ბრენდის ქვეშ გაიყიდება შპს „კაფსულოს“ მიერ წარმოებული, ე.წ. აპარატის ყავა, რა საფასო სეგმენტში იქნება წარმოდგენილი და ხომ არ აპირებს ყავის მსოფლიო ბრენდებთან თანამშრომლობას, გურგენიძე განმარტავს, რომ ბრენდის სახელზე და სხვა დეტალებზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

კომპანია „კაფსულო“ ყავისთვის შესაფუთ მასალას საფრანგეთიდან და შვეიცარიიდან შემოიტანს. რაც შეეხება ნედლეულს, ყავა სხვადასხვა ქვეყნიდან შემოვა, მათ შორის, აფრიკიდან, სამხრეთ ამერიკიდან, ცენტრალური ამერიკიდან და ასე შემდეგ.

გურგენიძე რამდენიმე თვის წინ „კომერსანტთან“ განმარტავდა, რომ პროექტის ღირებულება საწყის ეტაპზე 12 მილიონი ლარი იქნება, თუმცა, მას შემდეგ, რაც კომპანია „კაფსულო“ ახალი პროექტების განხორციელებას დაიწყებს, საინვესტიციო ღირებულება 20 მილიონ ლარს გადააჭარბებს.

თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, „ავტოვაზის მიმდებარედ ყავის გადამამუშავებელი საწარმოს აშენების შესახებ ინფორმაცია 2016 წლის აგვისტოში დაანონსდა.

მაშინ ეკონომიკის სამინისტროში აცხადებდნენ, რომ აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად შპს „კაფსულოს“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ორი ერთეული 12.064 კვ.მ და 4.928 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები 412.000 ლარად საინვესტიციო პირობებით გადასცა.

აღნიშნულ ობიექტებზე შპს „კაფსულო“ ყავის გადამამუშავებელ საწარმოს მშენებლობასთან ერთად საგამოფენო დარბაზების მოწყობას, აღჭურვას და ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა. პროექტის განსახორციელებლად კომპანია არანაკლებ 11.277.000 ლარს დახარჯავდა და ჯამში 30 ადამიანს დაასაქმებდა. ყავის გადამამუშავებელი საწარმო თანამედროვე ტექნოლოგიებით იქნებოდა აღჭურვილი და წლის განმავლობაში სავარაუდოდ 500 ტონა მწვანე ყავის ნედლეულს შეისყიდიდა, ხოლო წარმოების წლიური მოცულობა დაახლოებით, 1.200 ტონა იქნებოდა.

შპს „კაფსულო“ გამოშვებული პროდუქციის 50%-ის ექსპორტზე გატანას გეგმავს. კომპანიის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ ქარხანა ქართულ-უცხოური ინვესტიციით შენდება.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტი**

# სადაზღვევო სექტორის წმინდა მოგება მეორე კვარტალში 6-ჯერ შემცირდა

სადაზღვევო სექტორის წმინდა მოგება მეორე კვარტალში 6-ჯერ შემცირდა.

დაზღვევის ზედამხედველობის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2017 წლის მეორე კვარტალში სადაზღვევო სექტორის წმინდა მოგებამ 2,43 მილიონი ლარი შეადგინა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს მაჩვენებელი 12,42 მილიონი ლარი იყო.




მიუხედავად მოგების კლებისა, წინა წელთან შედარებით გაზრდილია მოზიდული პრემიის ოდენობა. სადაზღვევო სექტორმა 2017 წლის მეორე კვარტალში 247 მილიონი ლარი მოიზიდა, შარშან კი ეს მაჩვენებელი 229 მილიონი ლარი იყო.

გაზრდილია სადაზღვევო სექტორის აქტივების მოცულობაც და მან 601 მილიონი ლარი შეადგინა, როდესაც შარშან ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 578 მილიონი ლარი იყო.

სადაზღვევო სექტორში გაიზარდა კაპიტალის მოცულობაც და მან 140 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელს ასევე აღემატება. შარშან კაპიტალის მოცულობა სექტორში 118 მილიონ ლარს შეადგენდა.

2017 წლის II კვარტლის ბოლოს რეგისტრირებულია 16 სადაზღვევო კომპანია, 15 მათგანი ფლობს სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, ხოლო ერთი მათგანი – მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას.

**ბიზნესმედია**

# მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა 15 მილიონი ლარის ქონება დაისაკუთრეს

მიმდინარე წლის მე-2 კვარტალში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დასაკუთრებული უძრავ-მოძრავი ქონების ღირებულება, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 3.308 961 ლარით მეტია.

კერძოდ, 2017 წლის მე-2 კვარტალში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დასაკუთრებული ქონების ღირებულებამ 15.484.246 ლარი შეადგინა, მაშინ როცა, 2016 წლის ამავე პერიოდში ეს მონაცემი 12.175.285 ლარი იყო.

# თბილისის თიზ-ში კომპანიები სექტემბრის მეორე ნახევრიდან შევლენ

თბილისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში კომპანიები სექტემბრის მეორე ნახევრიდან შევლენ.

როგორც „საქმის კურსს“ თიზის ხელმძღვანელმა გიორგი ტაბიძემ განუცხადა, თიზ-ში ინფრასტრუქტურული სამუშაოები გაჭიანურდა რიგი ტექნიკური მიზეზების გამო, თუმცა, მისი დასრულებისთანავე თბილისის ინდუსტრიულ ზონაში კომპანიები დაიწყებენ ოპერირებას.

გიორგი ტაბიძის თქმით, საუბარია ავეჯის მწარმოებელ, ფარმაცევტულ კომპანიებთან, რომლებიც სომხეთიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან ინტერესდებიან თბილისის თიზში ოპერირებით.

მისი განმარტებით, ინფრასტრუქტურის სამუშაოები ჯერ კიდევ ივლისის ბოლოსთვის უნდა დასრულებულიყო, თუმცა, ჯერ ამინდებმა, შემდეგ კი ტექნიკურმა სამუშაოებმა შეუშალა ხელი.



თბილისის ინდუსტრიული ზონის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ადგილზე გზის ზედა საფარის დაგების სამუშაოებია დარჩენილი, გაყვანილია ელექტროობა, წყალი, კანალიზაცია, სანიაღვრე სისტემები.

გაზის შეყვანაზე მუშაობას თიზ-ის მმართველი მოგვიანებით დაიწყებს.

**ბიზნესმედია**

# მაია მიმინოშვილი: „39 ათასი აბიტურიენტიდან 28 ათასზე მეტი სტუდენტი გახდა“



გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ მაია მიმინოშვილის განცხადებით, 2017 წლის ეროვნულ გამოცდებზე 39 ათასი აბიტურიენტიდან 28 ათასზე მეტი სტუდენტი გახდა. მისი თქმით, 363 აბიტურიენტმა გამოცდების ბარიერი გადალახა, მაგრამ ვერსად ჩაირიცხა.

– სტატისტიკური მონაცემების თვალსაზრისით კარგი მდგომარეობაა და კმაყოფილი ვარ. წელს 100%-იანი გრანტი 1008 აბიტურიენტმა მიიღო, 70%-იანი კი 1457-მა, – განაცხადა მაია მიმინოშვილმა 27 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზე.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ცნობით, ე.წ. უფასო ფაკულტეტებზე სულ 4051 აბიტურიენტი ჩაირიცხა.

# ზურაბ ნეფარიძის წინააღმდეგ ჩვენება მისმა შვილმაც მისცა

## დეპუტატს 1.200 ლარის გამოძალვისთვის 11-15 წლამდე ციხე ემუქრება

გუშინ, 27 აგვისტოს, დედაქალაქის საკრებულოს წევრს, ზურაბ ნეფარიძეს და მის ცოლისდას, ანა მენთეშაშვილს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 16 ოქტომბერს დაინიშნა.

ზურაბ ნეფარიძეს ბრალი ქრთამის აღებისთვის 26 აგვისტოს ოფიციალურად წარუდგინეს. მისი ადვოკატის, სულხან კაპანაძის განცხადებით, ბრალდება 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დეპუტატი დაკავებას პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს.

ანტიკორუფციულმა სააგენტომ თბილისის საკრებულოს წევრი, ზურაბ ნეფარიძე 26 აგვისტოს დააკავა. ის 2014 წლიდან თბილისის საკრებულოს წევრი და ისნის მაჟორიტარი დეპუტატია „ეროვნული ფორუმიდან“. წარსულში ნეფარიძე შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა.

ნეფარიძე კორუფციის ბრალდებით ერთხელ უკვე იყო დაკავებული და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლეს.





* * *

გუშინდელ სასამართლოზე გაირკვა, რომ ნეფარიძის წინააღმდეგ ჩვენება მისმა შვილმაც მისცა. პროცესზე პროკურორმა განაცხადა, რომ, საქმის მასალების თანახმად, ზურაბ ნეფარიძის შვილი მამის დანაშაულში მონაწილეობდა. ბრალდების მხარის განცხადებით, დეპუტატის შვილი პროკურატურამ თანამშრომლობისთვის ბრალდებისგან გაათავისუფლა.

ზურაბ ნეფარიძეს ქრთამის აღებაში საკუთარი მაჟორიტარული ბიუროს თანამშრომელი ადანაშაულებს. დეპუტატი დალი მამულაშვილის საჩივრის საფუძველზე დააკავა ანტიკორუფციულმა სააგენტომ. სისხლის სამართლის საქმეში დალი მამულაშვილი დაზარალებულის სტატუსით არის დაკითხული.

მამულაშვილი ამბობს, რომ ხელფასიდან 400 ლარს ნეფარიძე სძალავდა. მისი განცხადებით, ბოლო სამ თვეში ნეფარიძემ 400-400 ლარი გამოსძალა რაც ჯამში 1.200 ლარს შეადგენს. სწორედ 1.200 ლარის ქრთამის აღებაში ედავება ანტიკორუფციული სააგენტო ნეფარიძეს. დაკავებული ბრალს არ აღიარებს.

მისი ადვოკატის განცხადებით, მაჟორიტარის ოფისისთვის, თბილისის საკრებულოს ხელფასებისა და ოფისის ქირისთვის თვეში 5.000 ლარი ჰქონდა გამოყოფილი. ეს არასაკმარისი იყო. ამასთან, ზურაბ ნეფარიძე წლების განმავლობაში კომუნალურ გადასახადებს საკუთარი თანხებით იხდიდა, ბოლო პერიოდში კი კომუნალურებისა და სხვადასხვა ღონისძიებებისთვის თანხებს თანამშრომლებიც დებდნენ.

* * *

– ქრთამის ამღები ამოწყდა და გადაშენდა, მე ვარ განტევების ვაცი.

ეს განცხადება ზურაბ ნეფარიძემ საქალაქო სასამართლოში გუშინ გააკეთა.

მანვე განაცხადა, რომ პროკურორი მას დაემუქრა.

– დედა აღარ გეყოლება, თუ არ აღიარებ. მერე გვიანი იქნებაო – მითხრა პროკურორმა ბექა ეჟიშვილმა მოდულის შენობაში, – განაცხადა ბრალდებულმა ნეფარიძემ სასამართლოზე.

მისივე თქმით, ზეწოლისა და მუქარის შესახებ ადვოკატს უკვე მიაწოდა ინფორმაცია.

პროკურორმა ბექა ეჟიშვილმა დაკავებულის ბრალდებას სიცრუე უწოდა. მანვე ჟურნალისტებს სხდომის დაწყებამდე განუცხადა, რომ ზურაბ ნეფარიძე მისსავე ბიუროში საკუთარ თანამშრომელს ყოველთვიურად 400 ლარს სძალავდა იმის სანაცვლოდ, რომ სამსახურიდან არ გაეთავისუფლებინა.

ბრალდების მხარის თქმით, ქრთამის გამოძალვის საქმეში ნეფარიძეს მისივე თანამშრომელი, ანა მენთეშაშვილი ეხმარებოდა და აღნიშნულ ქმედებას სისტემატური ხასიათი ჰქონდა.

ამასთან, საქმის პროკურორი არ გამორიცხავს, რომ მოპოვებული მასალების მიხედვით, სხვა თანამშრომლების მიმართაც ანალოგიური ხასიათის ქმედებები ხდებოდა.

**ნიუპოსტი, იმედინიუსი**

# „ბათუმის ბულვარში განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამო გვცემეს. პოლიციელები წიხლებით შეგვდგნენ“

## რას ყვებიან ლევან ბერიანიძე და თორნიკე კუსიანი

25 აგვისტოს, დილით, „თანასწორობის მოძრაობის“ ხელმძღვანელი ლევან ბერიანიძე და ამავე ორგანიზაციის წევრი თორნიკე კუსიანი წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის გამო დააკავეს.

ლევან ბერიანიძე და თორნიკე კუსიანი ბათუმის ბულვარში დააკავეს. დაკავებულებს თან სამი ტრანსსექსუალი ქალი ახლდა.

სამართალდარღვევაში მიჩნეულების განმარტებით, მათ თავდაპირველად უცნობმა პირმა მიაყენა შეურაცხყოფა, რომელიც ბულვარში მოპედით იმყოფებოდა.

– შემდეგ სხვები მოცვივდნენ. გვაგინებდნენ და გვცემდნენ. პოლიციელები მოვიდნენ, მაგრამ, გაშველების ნაცვლად, ჩვენ მოგვდგნენ ისინიც, მერე დაგვაკავეს და პოლიციის მეექვსე განყოფილებაში გადაგვიყვანეს. საათობით არ გვაძლევდნენ ადვოკატთან დაკავშირების უფლებას, არც უფლებები განუმარტავს ვინმეს, ვითხოვდით ექიმს, – ამბობს ლევან ბერიანიძე.

მან აღნიშნა, რომ შემთხვევის ადგილას იყო ვიდეოკამერებიც.

25 აგვისტოს გაიმართა სასამართლო.

– თავს დაგვესხნენ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამო... პოლიციელები შეგვდგნენ წიხლებით, – უთხრა ლევან ბერიანიძემ ჟურნალისტებს, ვიდრე მოსამართლე სხდომათა დარბაზში შემოვიდოდა.

სხდომაზე მოსამართლეს დაკავებულებისა და პოლიციის წარმომადგენლის პოზიციები არ მოუსმენია.

ადვოკატმა ანა მდინარაძემ სამი მოწმის დაკითხვის შუამდგომლობა დააყენა. მოწმე პოლიციელების წარმოდგენა გადაწყვიტა შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

მოსამართლე ლაშა თავართქილაძემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და საქმის განხილვა 26 აგვისტოსთვის გადადო.

26 აგვისტოს პროცესის დაწყებამდე ტრანსგენდერმა ქალმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ბათუმის ბულვარში ლევან ბერიანიძესთან და თორნიკე კუსიანთან ერთად იმყოფებოდა.

– გამოვედით ღამის კლუბიდან და თავს დაგვესხა რამდენიმე პირი იმიტომ, რომ ტრანსსექსუალები ვართ. მალევე პოლიციაც მოვიდა და პოლიციელებიც თავდამსხმელებს შეუერთდნენ, გვცემდნენ. მე სადღაც ბუჩქებში გადამათრიეს. ამ დროს დააკავეს ლევანი და თორნიკე. ალბათ, მეც დამაკავებდნენ, ისევ იქ რომ ვყოფილიყავი, – გვითხრა ტრანსგენდერმა ქალმა.



მოსამართლე ლაშა თავართქილაძემ ლევან ბერიანიძე და თორნიკე კუსიანი 300-300 ლარით დააჯარიმა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ცემის შემთხვევას, ან პოლიციელების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებას თუ ჰქონდა ადგილი, ეს გამოძიების შედეგად დადგინდება.

მოწმეთა ჩვენებების მოსმენის შემდეგ, მოსამართლე ლაშა თავართქილაძემ პოლიციელების მიერ მობილურით გადაღებული ვიდეოკადრები ნახა. კადრებიდან ისმის, როგორ აგინებენ თორნიკე კუსიანი და ლევან ბერიანიძე პოლიციელებს დაკავების შემდეგ პოლიციის ავტომანქანაში.

– ეს ადასტურებს იმას, რომ მაშინაც უკმაყოფილო ვიყავით პოლიციელების მოქმედებით, – უთხრა ლევან ბერიანიძემ მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღებამდე.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტ პაატა დიასამიძის მოსაზრებით, ვიდეოჩანაწერი სასამართლოს საქმისთვის არ უნდა დაერთო, რადგან იგი ასახავდა დაკავების შემდეგ პერიოდს.

– ამ კადრებით დასტურდება, რომ თქვენ მიაყენეთ შეურაცხყოფა სამართალდამცველებს, – თქვა მოსამართლემ, ვიდრე დარბაზს დატოვებდა.

ლევან ბერიანიძე და თორნიკე კუსიანი ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ.

* * *

ბათუმში „თანასწორობის მოძრაობის“ ორი წევრის დაკავების შესახებ შს სამინისტრომ განმარტება გააკეთა.

როგორც „კვირას“ სამინისტროდან აცნობეს, „მიმდინარე წლის 25 აგვისტოს, გამთენიისას, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოში შევიდა შეტყობინება, რომ ბულვარში, კლუბ „სოჰოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, დაუდგენელი პირები ერთმანეთს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

სამართალდამცველები შემთხვევის ადგილზე მყისიერად გამოცხადდნენ. ორი მოქალაქე, რომლებიც განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა, არ დაემორჩილა პოლიციელების კანონიერ მოთხოვნას, დაეცვათ წესრიგი, სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს“.

სამინისტროს ინფორმაციით, ამის შემდეგ პოლიციელებმა 1990 წელს დაბადებული ლევან ბერიანიძე და 1989 წელს დაბადებული თორნიკე კუსიანი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების თანახმად დააკავეს, რაც წვრილმან ხულიგნობას და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

– სამართალდამცველებისადმი სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას დაკავებულები პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგაც განაგრძობდნენ.

ალკოტესტით შემოწმების შედეგად ლევან ბერიანიძესა და თორნიკე კუსიანს ალკოჰოლური თრობა დაუდგინდათ. პოლიციის განყოფილებაში ლევან ბერიანიძემ სამართალდამცველებს განუცხადა, რომ კლუბ „სოჰოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და დამნაშავის ამოცნობა შეეძლო.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს. რაც შეეხება აღნიშნული პირების მხრიდან პოლიციის თანამშრომლების მიმართ გამოთქმულ პრეტენზიას, საკითხს უკვე სწავლობს შსს-ს გენერალური ინსპექცია, – აცხადებენ შს სამინისტროში.

**ბათუმელები, ენ-ბი-ეი**

# ავტომაგისტრალზე, გორთან, ერთმანეთს ტრაილერი და მსუბუქი მანქანა შეეჯახნენ

გორის შესასვლელთან, ავტომაგისტრალზე, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა. ერთმანეთს „მიცუბიშის“ მარკის ავტომობილი და ტრაილერი შეეჯახნენ.

დაშავებულები სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

შსს-მ საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

# თამარ ალანია, ლალი ფაფიაშვილი, იოსებ ბაჩიაშვილი, ოთარ სიჭინავა — ვის აარჩევს მთავრობა სტრასბურისთვის?

სტრასბურის მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევმა კომისიამ კანდიდატები მთავრობისთვის წარსადგენად უკვე შეარჩია.



კენჭისყრის შედეგად მთავრობას კომისიის მიერ წარედგინება თამარ ალანიას, ლალი ფაფიაშვილის, იოსებ ბაჩიაშვილისა და ოთარ სიჭინავას კანდიდატურები.

კენჭისყრაზე ყველაზე მეტი ხმა ლალი ფაფიაშვილმა მიიღო.

## ამერიკელი ბოდიბილდერი საჭმელმა იმსხვერპლა



ამერიკელი ბოდიბილდერი დალას მაკარვერი საკვებისგან დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

სამაშველო სამსახურში 911 შესული ზარის ჩანაწერის თანახმად, სპორტსმენის ცხედარი მისმა ნაცნობმა აღმოაჩინა, რომელიც მასთან სტუმრად მივიდა. ის მისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენას შეეცადა და ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა, მაგრამ მაკარვერის გადარჩენა ვერ შეძლო.

მიმდინარე წლის მარტში ბოდიბილდერმა შეჯიბრების დროს გონება დაკარგა. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, გიპოგლიკემია (სისხლში გლუკოზის დაბალი შემცველობა) გახდა. სპორტსმენის ახლობლები ვარაუდობენ, რომ სიტუაცია განმეორდა, მხოლოდ ამჯერად ბოდიბილდერმა გონება ჭამის დროს დაკარგა.

დალას მაკარვერი 1991 წელს დაიბადა. ის რეგულარულად გამოდიოდა შეჯიბრებებში. 2016 წელს მან მერვე ადგილი დაიკავა ლას-ვეგასში გამართულ კონკურსში „მისტერ ოლიმპია".

## ჩინეთში ვიდეოზე ტაიფუნთან მებრძოლი ტარაკნები გადაიღეს



ჩინეთში ვიდეოზე გადაიღეს ტარაკნები, რომლებიც ტაიფუნ „ხატოსგან" თავის დაღწევას გაქცევით ცდილობენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი სააგენტო ავრცელებს.

მწერების დიდი გუნდი სამხრეთ ჩინეთის ზღვის სანაპიროზე გავლებულ კედელზე რამდენიმე ათეულ მეტრზე იყო გაჭიმული.

ორი დღის განმავლობაში აღნიშნული ვიდეო სოციალური ქსელების 500 ათასზე მეტმა მომხმარებელმა ნახა. ფეისბუქში ვიდეორგოლმა 14 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

აღსანიშნავია, რომ სინოპტიკოსები „ხატოს" უძლიერეს ტაიფუნს უწოდებენ მათ შორის, რომლებიც კი ქვეყანას ბოლო 50 წლის განმავლობაში თავს დასტყდომია. ქარის სიჩქარე საათში 165 კილომეტრს აღწევდა. ქუჩები დაიტბორა. სტიქიის შედეგად მინიმუმ ცხრა ადამიანი დაიღუპა, ასობით დაშავდა ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

## კანადაში ავიაშოუს დროს თვითმფრინავს ცეცხლი წაეკიდა




კანადის საპილოტაჟე გუნდის თვითმფრინავს საერთაშორისო ავიაშოუზე გამოსვლის დროს ცეცხლი წაეკიდა. აღნიშნული ღონისძიება ქალაქ გალიფაკსში, გრინვუდის ბაზაზე მიმდინარეობდა.

თვითმხილველებმა მომხდარი ვიდეოზე გადაიღეს, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა ვიდეორგოლი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში განათავსა. აღსანიშნავია, რომ ცეცხლი თვითმფრინავის ცხვირის ნაწილში გაჩნდა, როდესაც ის დასაფრენ ზოლზე დაჯდა. კადრში ჩანს ბოლი. შემთხვევის ადგილისკენ ორი სახანძრო მანქანა გაემართა. ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს. პილოტები არ დაშავებულან.

ხანძრის გაჩენის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. ასევე უცნობია, თუ რამდენად სერიოზულად დაზიანდა თვითმფრინავი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კიმ ჩენ ინმა ფსბ-ს ყოფილი ოფიცრები დაიქირავა



ჩრდილოეთ კორეის დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. დიქტატორის აზრით, ამერიკული სპეცსამსახურები მის მოკვლას გეგმავენ. ამის გამო ის იძულებულია, გარკვეული ზომები მიიღოს. კიმ ჩენ ინმაც ფსბ-ს ყოფილი ოფიცრები დაიქირავა. მათი ამოცანა ჩრდილოეთ კორეის დიქტატორის დაცვა იქნება.

– რუსებს ტერორისტებთან ბრძოლის საუკეთესო სპეციალისტები ჰყავთ, – აცხადებს კიმ ჩენ ინი.

დიქტატორი ამბობს, რომ ამერიკის დაზვერვა უახლეს ტექნოლოგიებს იყენებს. ამიტომაც მისი სიცოცხლის დაცვა იოლი არ არის.

– მეც რუსებს მივმართე! ამერიკელებისაგან დაცვის წამალი მხოლოდ მათ იციან, – ამბობს კიმ ჩენ ინი.

## ტერაქტი ბრიუსელში



ბრიუსელში დანით შეიარაღებული პიროვნება სამხედრო პატრულს თავს დაესხა. სამხედროებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს. თავდამსხმელი მძიმედ დაიჭრა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა.

გამო პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო. რაც შეეხება თავად ტერორისტის ვინაობას, ბელგიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ის სომალელია, დაბადებული 1887 წელს.

## დემონსტრაცია ბარსელონაში



ბარსელონის ქუჩებში 59.000-იანი მანიფესტაცია გაიმართა. დემონსტრანტები ტერორსა და ძალადობას აპროტესტებდნენ.

ცოტა ხნის წინ ბარსელონაში ტერაქტი მოხდა, რამაც ადამიანების სიცოცხლე შეიწირა.

დემონსტრაცია უსაფრთხოების ზომების უმკაცრესი დაცვით ჩატარდა. ალბათობა იმისა, რომ ახალი ტერაქტი მოხდებოდა, დიდი იყო.

მანიფესტაციაში მონაწილეობა ესპანეთის მეფემ ფილიპე მეოთხემაც მიიღო. იქვე იყვნენ ცნობილი კატალონიელი მსახიობი როზა მარია სიარდა და ადგილობრივი მუსლიმანი აქტივისტი მირიამ ათიბი.

## ბელორუსში ოპოზიციის ლიდერი სტატკევიჩი დააკავეს




ბელორუსის პოლიციამ ოპოზიციის ლიდერი სტატკევიჩი დააკავა.

მან და მისმა მეგობრებმა მინსკის ცენტრში არასანქცირებული დემონსტრაცია მოაწყვეს. მათ რუსეთ-ბელორუსის ერთობლივი სამხედრო სწავლება „დასავლეთი – 2017" გააპროტესტეს.

აქცია არ იყო მრავალრიცხოვანი. მასში სულ 200 კაცი მონაწილეობდა.

– ბელორუსის დამოუკიდებლობა ფიქციაა! ფაქტობრივად, სახელმწიფო არა გვაქვს! არ გაგვაჩნია გარეგნული ატრიბუტებიც კი, ისეთები, როგორიცაა ჰიმნი, დროშა, გერბი! არც მშობლიური ენის სახელმწიფო სტატუსი გვაქვს! არ არსებობს ბელორუსული ეკლესია, არმია, უშიშროება, პოლიცია! ყველა და ყველაფერი რუსიფიცირებულია! ბელორუსში, ფაქტობრივად, დრო გაჩერდა. ჩვენთან ისევ საბჭოთა კავშირია! – განაცხადა სტატკევიჩმა.

სტატკევიჩის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მას ხელისუფლების ორგანოებისადმი დაუმორჩილებლობა ედება ბრალად.

## რუსი კინოვარსკვლავი დონბასში უკრაინელების მხარეზე იბრძვის



რუსი კინოვარსკვლავი ანატოლი პაშინინი (დაბ. 1975 წელს) დონბასში უკრაინელების მხარეზე იბრძვის.

ამის თაობაზე სააგენტო უნიანი იტყობინება.

– ყველა რუსი პუტინელი როდია! არიან ისეთებიც, რომლებიც პუტინის კურსს ქვეყნისთვის დამღუპველად მიიჩნევენ, – აცხადებს პაშინინი.

კინოვარსკვლავი უკრაინაში დაიბადა და აღიზარდა. ბავშვობაში გატაცებით ვარჯიშობდა კარატეში და 16 წლისამ ყავისფერი ქამარიც მოიპოვა. პაშინინმა დაამთავრა მოსკოვის შჩეპკინის სახელობის უმაღლესი თეატრალური სასწავლებელი, სახელი გაითქვა ფილმებით „ადმირალი", „მუდამ გახსოვდეს", აგრეთვე ტელესერიალით „სეტყვის ულელტეხილი," რომელიც საკულტო სერიალად გადაიქცა.

## შლაპა რატომ გახურავს?

მოსკოვში, გორკის სახელობის პარკში, სისხლიანი ტრაგედია მოხდა. 70 წლის მამაკაცი, ვინმე დუმკინი, პარკში სეირნობდა. ანაზდად მასთან სამი უცნობი ახალგაზრდა მივიდა. მათ განუცხადეს, რომ დუმკინის ჩაცმულობა არ მოსწონთ.

– შლაპა რატომ გახურავს?

შედეგად ჩხუბი გაიმართა. დუმკინმა მძიმე ტრავმა მიიღო და დაიღუპა. მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



## მალამო „მენტორი პირველი"

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი" გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

### სითხე მენტორი — 4

დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.

გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.

☎ 599-73-48-21

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● საწყობში გვჭირდება ორი თანამშრომელი, მეწარმის გამოცდილებით. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 599-61-75-82.

● განყოფილების ხელმძღვანელს ესაჭიროება თანაშემწე პერსონალის შესარჩევად. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-57-83-54.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

●სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობამამაკაცებისათვისგარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# თბილისის დინამო მდევრებს გაექცა





**დინამო (ბთ) – დინამო (თბ) 1:2**

**ბათუმი. რაგბი არენა**

0:1 გეგეჭკორი (9), 1:1 გრიგალაშვილი (31), 1:2 შულაია (90)

**დინამო ბთ:** შოვნაძე, მახარაძე, შონია, თევდორაძე (ვარშანიძე 89), სუხიაშვილი, კვირკველია, ჩოგაძე (ფლამარიონი 70), გრიგალაშვილი, ტვილდიანი, მგელაძე, კვასოვი (კვანტალიანი 82)

**დინამო (თბ):** რევიშვილი, თოთაძე, გეგეჭკორი, კობოური, თევზაძე (სალუქვაძე 30), ქარდავა, ნინუა (კუცია 89), შულაია, ჩაკვეტაძე, მიქელთაძე, კოვტალიუკი (ქოჩლაძე 58)

თბილისის დინამომ გამარჯვება ბოლო წუთზე მოიპოვა და საჩემპიონო რბოლაში მდევრებს უფრო გაექცა.

მატჩი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო: მე-5 წუთზე პირველი სახიფათო დარტყმა ბაქარ ქარდავამ განახორციელა, ბურთი ზემოდან გადაცდა მასპინძელთა კარს. საპასუხოდ თემურ ჩოგაძემაც იაქტიურა, თუმცა უშედეგოდ. ანგარიში კი მე-9 წუთზე ლევან გეგეჭკორის უძლიერესი დარტყმისას გაიხსნა – 0:1.

თბილისელებმა უმატეს შეტევებს და მიჯრით ორჯერ დაემუქრნენ ბათუმელებს. ჯერ შულაია მიქელთაძის კომბინაცია გამოდგა უშედეგო, შემდეგ კი ქარდავას დარტყმული მოიგერია შოვნაძემ. ასევე 2 სახიფათო შეტევით უპასუხეს მასპინძლებმა. მათ რიგებში განსაკუთრებით ელგუჯა გრიგალაშვილი და თემურ ჩოგაძე აქტიურობდნენ. სწორედ გრიგალაშვილის აქტიურობით გათანაბრდა ანგარიში – ზღვისპირელთა ნახევარმცველმა რამდენიმე დედაქალაქელი მოატყუა და მახვილი კუთხიდან გაუტანა ნუკრი რევიშვილს – 1:1.

ტაიმის ბოლო 15 წუთი ბათუმელთა უპირატესობით გაგრძელდა. ერთ მომენტში ნუკრი რევიშვილმა სახიფათოდ დარტყმული მაკრატელაც მოიგერია და ტაიმიც ფრედ დასრულდა.

მე-2 ნახევარი უფრო ხისტად გაგრძელდა და მისი ძირითადი ნაწილი საგოლე მომენტების გარეშე ალინიშნა. ტერიტორიული უპირატესობა კი სტუმრებმა მოიპოვეს. 70-ე წუთზე ნიკა ნინუამ გაისროლა უძლიერესად, მაგრამ არაზუსტად. თბილისელებმა ჩაკვეტაძე-მიქელთაძე-შულაიას კომბინაციაც ვერ გამოიყენეს – შულაიას ძლიერად დარტყმული ძელმა მოიგერია. თუმცა, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში სწორედ ამ სამეულის აქტიურობას მოჰყვა გოლი. ჩაკვეტაძის ზუსტ ჩაწოდებას მიქელთაძე აგვირგვინებდა, თუმცა ბათუმელთა მეკარემ რთული ბურთი მოიგერია, დამატებაზე კი ყველას შულაიამ დაასწრო და დინამოს მორიგი 3 ქულა მოუტანა.

**სამტრედია-ტორპედო 1:1**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

0:1 კუტალია (18), 1:1 საბანაძე (81პ)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, გოგიაშვილი, კასრაძე, ბალდე, მანჯგალაძე, დათუნაიშვილი, (ჯიქია 77), სამუშია (მარკოზაშვილი 59), რაჟამაშვილი, საბანაძე

**ტორპედო:** კვასხვაძე, ხურცილავა, გ.გურული (ტაბატაძე 60), ჭიჭინაძე, ქიმაძე, ფალავანდიშვილი, კუხიანიძე, გიგაური, კუტალია, დოლიძე (კორობკა 69), კუჭუხიძე (კაპანაძე 89)

იმერულ დერბის ბევრი რამის გადაწყვეტა შეეძლო. მოგების შემთხვევაში ტორპედო ჩემპიონობის რეალურ შანსს ინარჩუნებდა, ხოლო სამტრედია მე-2 ადგილისთვის ბრძოლაში რიონისპირელებს გაუთანაბრდებოდა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ორივე გუნდმა მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა და ახლა ერთმანეთში მოუწევთ 2-3 ადგილოსნის გარკვევა, რადგან დინამოსთან ჩამორჩენა გაიზარდა.

პირველი მომენტი მასპინძლებმა შექმნეს, მაგრამ გიგი მჭედლიშვილის მცდელობა უზუსტო გამოდგა.

ცუდად ითამაშა მჭედლიშვილმა მე-18 წუთზე, როდესაც დაცვაში ვერ ივარგა და მისი შეცდომა კარგად გამოიყენა ლევან კუტალიამ, რომელმაც ტორპედოს მაისურით პირველი გოლი გაიტანა.

29-ე წუთზე ქუთაისურ გუნდს ანგარიშის გაზრდის საშუალება ჰქონდა, როცა შეტევაში წასულ მჭედლიშვილს კუტალიამ ბურთი აართვა და კონტრშეტევა წამოიწყო, რომელიც კუხიანიძემ გააგრძელა, გიორგი ქიმაძე კი ამთავრებდა, მაგრამ ომარ მიგინეიშვილმა აჯობა.

53-ე წუთზე სამტრედია კიდევ ერთხელ გადარჩა – გრიგოლ დოლიძის ჩაწოდებას ლაშა კუჭუხიძემ თავური დაჰკრა და ბურთი ხარიხას მოხვდა.

მე-80 წუთზე დაპირისპირების ბოლო მომენტი შეიქმნა, როცა გუგა ფალავანდიშვილმა საჯარიმოში გიული მანჯგალაძე წააქცია და შეხვედრის მთავარმა მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც ყოფილი კლუბის კარში ნიკოლოზ საბანაძემ გოლად აქცია და საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

**შუქურა-ლოკომოტივი 1:3**

**ბათუმი. რაგბი არენა**

0:1 არველაძე(26), 0:2 გავაშელიშვილი(62), 1:2 ჩაგელიშვილი(66), 1:3 სიხარულიძე(83)

**შუქურა:** მელნიჩენკო, ჩადუნელი (თუხარელი 46), პომაზანი, გოგიტიძე, ჩაჩუა, ჩაგელიშვილი, ჯეფერსონი (შალამბერიძე 82), კლიმიაშვილი, გურული (გოგილაშვილი 74), მარსელინიო, დასე

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჭანტურია, რეხვიაშვილი, კობახიძე, უბილავა, სამურკასოვი, გოროზია (გავაშელიშვილი 60), არველაძე (ქურდაძე 87), ქავთარაძე, დიასამიძე (გვალია 67), სიხარულიძე

თბილისის ლოკომოტივმა ზედიზედ მე-3 მატჩი მოიგო, მე-4 ადგილი გაიმყარა და მედლებისთვის ბრძოლას აგრძელებს. გიორგი დევდარიანის გუნდმა შუქურა სტუმრად 3:1 დაამარცხა.

ანგარიში 26-ე წუთზე ვატო არველაძემ გახსნა. ლოკოს 24-ე ნომერმა ნოდარ ქავთარაძის პასის შემდეგ, ბურთი შუქურას საჯარიმოში დაამუშავა და გამოზომილი დარტყმით გაიტანა.

მეორე ტაიმის საწყის წუთებში დევდარიანის გუნდმა არაერთი სახიფათო მომენტი შექმნა, გატანა შეეძლოთ სიხარულიძესა და არველაძეს, თუმცა მასპინძელთა მეკარემ ორივე შემთხვევაში ზუსტად ითამაშა.

მე-60 წუთზე, გიორგი გოროზიას ნაცვლად მოედანზე მამია გავაშელიშვილი შევიდა, რომელმაც ზუსტად 2 წუთში ლამაზი გოლი გატანა. შუქურამ ერთი ბურთის გაქვითვა მალევე მოახერხა – გოლი 66-ე წუთზე დავით ჩაგელიშვილმა გაიტანა.

83-ე წუთზე ირაკლი სიხარულიძემ მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ლოკოს ფორვარდმა მიმდინარე ეროვნულ ლიგაში მე-19 გოლი გაიტანა.

**ჩიხურა-საბურთალო 0:0**

**ივანწმინდა. ცენტრალური**

**ჩიხურა:** მწყერაშვილი, გრიგალაშვილი, ფონიავა (სარდალიშვილი 63), განუგრავა, გაბედავა, კორიფაძე, ივანიშვილი (კვერნაძე 66), დობროვოლსკი (კაკუბავა 76), ჭელიძე, კაშია, დეკანოიძე

**საბურთალო:** კუპატაძე, ნადარაია, გრიგალაშვილი, მამუჩაშვილი, შინდაგორიძე (მუეცი 67), ხარაიშვილი, ჩაბრაძე, ცნობილაძე, ელვინ ტერა (ბიძინაშვილი 46), კოხრეიძე (მალი 83), ვოლკოვი

გატანილი გოლების გარეშე დასრულდა მატჩი ივანწმინდაში, სადაც ადგილობრივმა ჩიხურამ დედაქალაქურ საბურთალოს უმასპინძლა. ორივე გუნდს 34 ქულა დაუგროვდა და 5-6 ადგილებს ინაწილებენ.

არადა, დედაქალაქელები საჩხერეიდან 3 ქულით დაბრუნებას იმსახურებდნენ. განსაკუთრებით მე-2 ტაიმში გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა აშკარად დაჯაბნა მეტოქე, მოწინააღმდეგის კართან რამდენიმე რეალური მომენტი შექმნა, თუმცა გოლი არა და არ გავიდა. ხარაიშვილის, გრიგალაშვილის, ვოლკოვისა და ბიძინაშვილის ხელსაყრელი ეპიზოდების შემდეგ, სტუმრებს რამდენჯერმე შეეძლოთ დაწინაურება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 24 | 18 | 2 | 4 | 62-17 | 56 |
| 2.ტორპედო | 24 | 14 | 6 | 4 | 34-18 | 48 |
| 3.სამტრედია | 24 | 13 | 6 | 5 | 36-24 | 45 |
| 4.ლოკომოტივი | 24 | 12 | 3 | 9 | 42-31 | 39 |
| 5.ჩიხურა | 24 | 10 | 4 | 10 | 30-39 | 34 |
| 6.საბურთალო | 24 | 10 | 4 | 10 | 32-28 | 34 |
| 7.დინამო (ბთ) | 24 | 8 | 2 | 14 | 22-32 | 26 |
| 8.დილა | 23 | 5 | 7 | 11 | 25-35 | 22 |
| 9.კოლხეთი | 23 | 4 | 7 | 12 | 21-40 | 19 |
| 10.შუქურა | 24 | 2 | 5 | 17 | 22-62 | 11 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 19 ბურთი; დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 12, ბექა მიქელთაძე, ბაჩანა არაბული (ორივე დინამო თბ) – 11; მამია გავაშელიშვილი (ლოკომოტივი), მიკოლა კოვტალიუკი (დინამო თბ) – 10.

# შედეგები

## 26 აგვისტო

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბორნმუთი-სიტი ............................ 1:2
კრ.პალასი-სუონსი ........................ 0:2
ჰადერსფილდი-საუთჰემპტონი ...... 0:0
ნიუკასლი-ვესტ ჰემი ...................... 3:0
უოტფორდი-ბრაიტონი ................. 0:0
მანჩესტერი-ლესტერი .................. 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-0 | 9 |
| 2.ჰადერსფილდი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 3.სიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 4.ვესტ ბრომვიჩი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 5.უოტფორდი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 6.საუთჰემპტონი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 7.ლივერპული | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 8.ევერტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 9.სუონსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 10.ტოტენჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 11.არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 12.ჩელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 13.ბარნლი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 14.ნიუკასლი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 15.სტოკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 16.ლესტერი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 17.ბრაიტონი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| 18.ბორნმუთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |
| 19.კრ.პალასი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |
| 20.ვესტ ჰემი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-10 | 0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-სანდერლენდი ................ 3:0
ბარტონი-უენსდი ........................... 1:1
ბირმინგემი-რედინგი ...................... 0:2
ბრენტფორდი-ვულვზი ................... 0:0
იფსვიჩი-ფულემი ............................ 0:2
კარდიფი-ქპრ ................................. 2:1
მიდლსბრო-პრესტონი .................... 0:0
მილუოლი-ნორივიჩი ..................... 4:0
შეფილდი-დერბი ............................ 3:1
ნოტინგემი-ლიდსი ......................... 0:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-ბარსელონა ..................... 0:2
ლევანტე-დეპორტივო .................... 2:2
ხირონა-მალაგა ............................... 1:0
ლას პალმასი-ატლეტიკო .............. 1:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სოსიედადი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 2.ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 3.ატლეტიკო | 2 | 1 | 1 | 0 | 7-3 | 4 |
| 4.ხირონა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 5.ლევანტე | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6.რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 7.ეიბარი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.ლეგანესი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 9.ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 10.ბეტისი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 11.ესპანიოლი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 12.სევილია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 13.ბილბაო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 14.ხეტაფე | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 15.დეპორტივო | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 16.სელტა | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |
| 17.მალაგა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 18.ალავესი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 19.ვილიარეალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| 20.ლას პალმასი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლეონესა-ოსასუნა .......................... 2:1
უესკა-ლორკა .................................. 2:0
რაიო-ნუმანსია ............................... 2:2
სევილია ბ-ვალიადოლიდი ............ 1:2
ალმერია-ოვიედო .......................... 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვერდერი-ბაიერნი .......................... 0:2
აინტრახტი-ვოლფსბურგი ............ 0:1
ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი ........... 2:2
აუგსბურგი-გლადბახი ................... 2:2
შტუტგარტი-მაინცი ....................... 1:0
დორტმუნდი-ჰერტა ....................... 2:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზ.პაული-ჰაიდენჰაიმი ................... 1:0
აუე-ნიურნბერგი ........................... 3:1
რეგენსბურგი-კილი ....................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2.ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 3.ჰამბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4.გლადბახი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6.შალკე | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 7.ჰანოვერი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.ჰერტა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9.შტუტგარტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 10.ვოლფსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 11.ფრაიბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 12.აუგსბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 13.აინტრახტი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 14.ლევერკუზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 15.მაინცი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 16.ლაიპციგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 17.კიოლნი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 18.ვერდერი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**იტალია. სერია ა**

ბენევენტო-ბოლონია ..................... 0:1
ჯენოა-იუვენტუსი .......................... 2:4
რომა-ინტერი ................................. 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 2.იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-2 | 6 |
| 3.ბოლონია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 4.მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 5.ნაპოლი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 6.კიევო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 7.სამპდორია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 8.რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 9.ლაციო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 10.სპალი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 11.სასუოლო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 12.ტორინო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 13.ჯენოა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 14.ატალანტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 15.უდინეზე | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 16.ვერონა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 17.კალიარი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 18.კროტონე | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 19.ფიორენტინა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 20.ბენევენტო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

აველინო-ბრეშა .............................. 2:1
ვენეცია-სალერნიტანა .................. 0:0
ვირტუსი-პერუჯა ........................... 1:5
კარპი-ნოვარა ................................. 1:0
პალერმო-სპეცია ........................... 2:0
პრო ვერჩელი-ფროზინონე .......... 0:2
ტერნანა-ემპოლი ............................ 1:1
ჩიტადელა-ასკოლი ........................ 3:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანტი-ლიონი ................................. 0:0
ამიენი-ნიცა ................................... 3:0
ბორდო-ტრუა ................................. 2:1
კაენი-მეცი ...................................... 1:0
დიჟონი-მონპელიე ......................... 2:1
ტულუზა-რენი ................................ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 4 | 4 | 0 | 0 | 14-2 | 12 |
| 2.მონაკო | 3 | 3 | 0 | 0 | 8-3 | 9 |
| 3.სტ.ეტიენი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 9 |
| 4.ლიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-4 | 8 |
| 5.ბორდო | 4 | 2 | 2 | 0 | 9-6 | 8 |
| 6.მარსელი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 7.კაენი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-2 | 6 |
| 8.ტულუზა | 4 | 2 | 0 | 2 | 8-11 | 6 |
| 9.ანჟე | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 10.სტრასბური | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 11.მონპელიე | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 12.ტრუა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 13.ნანტი | 4 | 1 | 1 | 2 | 1-4 | 4 |
| 14.დიჟონი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-10 | 4 |
| 15.ლილი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 16.ნიცა | 4 | 1 | 0 | 3 | 3-6 | 3 |
| 17.გენგამი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 18.ამიენი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 19.რენი | 4 | 0 | 2 | 2 | 6-8 | 2 |
| 20.მეცი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლორიანი-რეიმსი ........................... 2:1

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ვიტესი-ალკმაარი .......................... 1:2
დენ ჰააგი-ჰერენვენი ..................... 1:2
ზვოლე-ტვენტე ............................... 2:0
ერაკლესი-ექსელსიორი ................ 2:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-ტონდელა ................. 0:3
ფერეირა-გიმარაეში ...................... 0:0
შავიში-ფეირენშე ........................... 0:2
რიუ ავე-ბენფიკა ........................... 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

არსენალი-ამკარი .......................... 0:1
რუბინი-ტოსნო ............................... 1:0
ლოკომოტივი-ურალი ..................... 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-გრასჰოპერსი .................. 1:1
ლუგანო-თუნი ................................ 4:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-ჰამილტონი .............. 2:2
მოზერველი-ჰართსი ...................... 2:1
პარტიკი-აბერდინი ........................ 3:4
სელტიკი-სტ.ჯონსონი .................... 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-სტ.პოლენი .......... 2:1
რაპიდი-ლინცერი .......................... 1:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

შარლერუა-ვარეგემი ..................... 3:2
ლოკერენი-ეუპენი ......................... 3:0
სტ.ტრუიდენი-ბევერენი ................ 1:0
გენკი-მეხელენი ............................ 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-ატრომიტოსი ....... 2:2
პლატანიასი-ქსანთი ...................... 0:2
ლამია-ოლიმპიაკოსი .................... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბეშიქთაში-ბურსა .......................... 2:1
მალათია-ანთალია ........................ 1:1
გიოზთეფე-ტრაბზონი .................. 3:2
ქაისერი-ოსმანლი ......................... 2:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

კარვინა-ლიბერეცი ....................... 0:1
ბრნო-სპარტა ................................. 2:0
სლოვაცკო-სიგმა ........................... 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-ნეცეჩა .............................. 2:1
იაგელონია-პიასტი ........................ 0:1
ვისლა-ლეხია ................................. 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

სტალი-ზვეზდა .............................. 0:1
ოლიმპიკი-კარპატი ....................... 0:0

**დანია. სუპერლიგა**

ჰელსინგერი-რანდერსი ................. 2:0
ოლბორგი-ორხუსი ......................... 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ესკილკსტუნა-ჰამარბი .................. 0:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ილვესი-ჰიფკი ................................ 2:1
ლახტი-კემი ................................... 0:1
როვანიემი-ინტერი ........................ 4:2
სეინეიოკი-ჯჯკ ............................... 0:4

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ილიას ზუროსი: „რაც ვერ გავაკეთე საბერძნეთის ნაკრებთან, საქართველოსთან მოვახერხე“

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა აკროპოლისის თასზე მე-3 მატჩი იტალიელებთან კი წააგო, მაგრამ ტურნირის მთავარი პრიზი მათ გადაეცათ.



2 დღეში ევროპის 2 გრანდის დამარცხებისა და აკროპოლისის თასის ნაადრევად მოგების შემდეგ, საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა გუნდის ძირითადი შემადგენლობის დასვენება გადაწყვიტა. იტალიელებთან თორნიკე შენგელიას სათამაშო ფორმა არ ჩაუცვამს, სასტარტო ხუთეულის დანარჩენმა წევრებმა კი მათთვის საშუალოზე ნაკლები დროით ითამაშეს.

ილიას ზუროსს მიზეზი ჰქონდა, რომ გუნდის სრული არსენალი არ გამოეყენებინა. ერთი, რომ ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლით დაღლილი მოთამაშეები დაასვენა და მეორე და მთავარი: იტალია ჩვენი მეტოქეა ევრობასკეტზე და, ცხადია, სრული შესაძლებლობების წარმოჩენა არცერთ გუნდს არ აწყობდა.

შესაბამისად, სათამაშო დრო ერგოთ სათადარიგოებს – მიხეილ ბერიშვილს, ილია ლონდარიძეს, გოგა ბითაძეს, ანატოლი ბოისას, გიორგი გამყრელიძეს.

პირველი ნახევრის 10 ქულით წაგების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მე-3 პერიოდი 24:17 მოიგო და ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა – 55:58. ბოლო პერიოდში თანაბარი ბრძოლა გაგრძელდა. გუნდები ბოლო წუთებამდე თითქმის თანაბრად მივიდნენ, გადამწყვეტ წუთებში კი მარკო ბელინელის ორმა სამქულიანმა იტალიელები ხელჩასაჭიდი სხვაობით დააწინაურა, საბოლოოდ კი მატჩი აპენინელთა გამარჯვებით – 73:65 დასრულდა.

14 ქულითა და 9 მოხსნით საქართველოს ნაკრებში საუკეთესო შედეგი გიორგი შერმადინმა დააფიქსირა. 11 ქულა ჰქონდა გიორგი ცინცაძეს. 10 ქულით ქართველებს მაიკლ დიქსონი შეეწია.

იტალიაში 17 ქულით ბომბარდირი გახდა პიეტრო არადორი. მარკო ბელინელიმ 16 ქულა მიითვალა.

დაჯილდოების ცერემონიალი ტურნირის ბოლო მატჩის: საბერძნეთ-სერბეთის დასრულების შემდეგ იყო დაგეგმილი, მაგრამ ორგანიზატორებმა იტალია-საქართველოს შეხვედრის დასრულების შემდეგ გამოიტანეს მთავარი ტიტული და ამ შეხვედრაში ჩვენი ნაკრების კაპიტანს – მანუჩარ მარკოიშვილს გადასცეს.

**ილიას ზუროსი:**

– როცა საბერძნეთის ნაკრებს ვწვრთნიდი, აკროპოლისის თასი მაშინ არ მომიგია. ეს საქართველოს ნაკრებთან ერთად მოვახერხე და ბედნიერი ვარ.

**გოგა ბითაძე:**

– იტალიელებთან მატჩით კმაყოფილი ვერ ვიქნებით, რადგანაც დავმარცხდით, თუმცა, შეძლებისდაგვარად ნორმალური თამაში ვაჩვენეთ. ამასთან, არ იყვნენ ნაკრების წამყვანი კალათბურთელები... მიუხედავად ყველაფრისა, თასი ჩვენია და ბედნიერები ვართ, რადგანაც ტურნირზე ძალიან ძლიერი გუნდები იყვნენ შეკრებილნი. ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატის წინ მზად ვართ, რათა ყველა მეტოქეს თანასწორად ვეთამაშოთ და მოგებისთვის ვიბრძოლოთ.

# პეტრიაშვილი და იაკობაშვილი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ეს ტურნირის პირველ დღეს მოხდა, ხოლო პეტრიაშვილის შემდეგ, მსოფლიო პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე იაკობიშვილი ავიდა.

იაკობიშვილმა სულ 4 შეხვედრა ჩაატარა: საქმეში მეორე წრიდან ჩაერთო და ინდოელ ბაირანგ ბაირანგს სძლია (6:5). თურქ მუსტაფა კაიასთან წმინდა გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ნახევარფინალში რუს ალან გოგაევთან ბრძოლა სასურველი ფრით დაასრულა – 3:3, საჩემპიონო შეხვედრაში კი პოლონეთის ნაკრების წევრ მაგომედმურად გაჯიევს დაუპირისპირდა და 3:1 დაამარცხა.

ახალ 61 კგ კატეგორიაში პირველად იასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონატზე ლადო ხინჩეგაშვილმა, ბრინჯაოს მედლისათვის თურქეთის სახელით მოჭიდავე ოპან სატის 2013 წელს თბილისის ევროპის ჩემპიონატზე განცდილი მარცხისათვის რევანში აუღო და 3:0 დაამარცხა, ლადომ მეოთხედფინალში რუს ჰაჯიმურად რაშიდოვთან დაძაბულ ბრძოლაში დათმო შეხვედრა, მანამდე კი ევროპის სამგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ორი შეხვედრა იოლად მოიგო – კრისტიან ნიკოლესკუს 10:0, ხოლო ტუვშინტულგა ტუმებილეგს 7:1 სძლია, დამამშვიდებელ წრეში ლადომ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ამერიკელ ლოგან სტიებერს იოლად, 10:0 მოუგო.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

კალეიდოსკოპი

## კანადის პრემიერი კარაქისგან გამოძერწეს

ტორონტოში, კანადის ეროვნულ გამოფენაზე, წარმოადგინეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ჯასტინ ტრიუდოს ქანდაკება, რომელიც კარაქისგანაა დამზადებული. ამ ინფორმაციას სი-ბი-სი ნიუსი ავრცელებს.



ქანდაკების ავტორებმა ტრიუდო ხელში პანდის ბელებით გამოძერწეს. ეს ნაწარმოები მათ პოლიტიკოსის ფოტოსურათის მიხედვით შექმნეს, რომელიც მისი ზოოპარკში ვიზიტის დროსაა გადაღებული. გასული წლის მარტში პრემიერ-მინისტრი კამერების წინ პანდის ტყუპი ბელებით ცზია იუეიუეით და ცზია პანიპანით პოზირებდა, რომლებიც ტორონტოს ზოოპარკში 2015 წლის ოქტომბერში გაჩნდნენ.

კარაქისგან პრემიერის ქანდაკების დამზადებაზე ხუთი მხატვარი შრომობს. პანდების გარდა, ისინი კიდევ რამდენიმე ცხოველის გამოძერწვას გეგმავენ, მათ შორის ენოტის, რომელიც ფუნთუშას იპარავს და ციყვის, რომელიც მაღაზიიდან შოკოლადს იპარავს.

აღსანიშნავია, რომ კანადის ყოველწლიური ეროვნული გამოფენა ტორონტოში 1879 წლიდან იმართება და ღონისძიებას მილიონ-ნახევრამდე ადამიანი სტუმრობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

კალეიდოსკოპი

## რიანამ დასავლეთ ჰოლივუდში სახლი იყიდა

მომღერალმა რიანამ სახლი იყიდა იმ რაიონში, სადაც არც ისე დიდი ხნის წინ მოდელი კენდალ ჯენერი ცხოვრობდა. სახლი დასავლეთ ჰოლივუდში მდებარეობს.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რიანამ საცხოვრებელში 6,8 მილიონი დოლარი გადაიხადა. სახლის ფართობი 650 კვადრატულ მეტრს შეადგენს. მასში განთავსებულია ექვსი საძინებელი, ცხრა სააბაზანო ოთახი, კინოთეატრი, სპორტული დარბაზი, საბილიარდე. ასევე სახლს აქვს აუზი, დიდი ეზო და სახლი სტუმრებისთვის.

ამ შენაძენის თაობაზე ოფიციალური კომენტარი არც თავად მომღერალს და არც მის წარმომადგენელს არ გაუკეთებიათ.

## ჯენიფერ ენისტონმა საკუთარი ფეხმძიმობა უარყო

მსახიობმა ჯენიფერ ენისტონმა მისი ფეხმძიმედ ყოფნის თაობაზე გავრცელებული ხმები ისევ გააკრიტიკა.



სერიალ „მეგობრების“ ვარსკვლავი გათხოვილია მსახიობ ჯასტინ ტერუზე. მათ ბავშვები არ ჰყავთ და მასმედიაში მუდმივად იბეჭდება სტატიები, რომელშიც 48 წლის მსახიობის ფეხმძიმობაზეა საუბარი.

მსახიობის თქმით, პრესა ისტორიებს თხზავს მასზე და მათ საფუძვლად მხოლოდ მის ფოტოსურათებს იყენებს. როდესაც ის ოდნავ ზედმეტი საკვების გამო მოსუქებული ჩნდება, მედია მაშინვე მის ფეხმძიმობაზე იწყებს საუბარს.

როგორც თავად ენისტონმა განაცხადა, ეს არა მხოლოდ ბოდიშეიმინგია, არამედ მისი და ტერუს პირად ცხოვრებაში ჩარევაც არის.

მსახიობმა ასევე აღნიშნა, რომ მისი წარმოდგენა ბედნიერ ცხოვრებაზე შესაძლოა სრულიად განსხვავდებოდეს სხვა ადამიანების წარმოდგენებისგან და არავის აქვს უფლება, სხვისი არჩევანი განსაჯოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სკანვორდი



1. ..., იგრეკი, ზეტი; 2. ხეთების ქალღმერთი; 3. რაიმე უნარის დაჩლუნგება, დაკარგვა; 4. ბიბლიური პერსონაჟი; 5. ხელოვნური ბოჭკო; 6. ჟან რენოს კინოროლი; 7. ნიგერიის ფულის ერთეული; 8. ქალაქი იაპონიაში; 9. მშვილდით სასროლი ჯოხი; 10. ტურგენევის მოთხრობა; 11. ანტილოპების გვარის ცხოველი; 12. ლოტოს მსგავსი თამაში; 13. ამონი; 14. ამერიკული თოჯინა; 15. მემამულე თურქეთში (ძვ.); 16. ცირკის მოედანი; 17. სატურნის თანამგზავრი; 18. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 19. პირველი ტელეარხის საინფორმაციო გადაცემა; 20. თალი; 21. განსჯის პროდუქტი; 22. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 23. იაპონიის ფულის ერთეული; 24. მდინარე აზიაში; 25. სასიმინდე; 26. ღვინის ობი; 27. ქსენოფონტის თხზულება; 28. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 29. საარჩევნო ყუთი; 30. ფრანგული საწებელი; 31. მოსწავლის ნივთი; 32. იტალიური „ნიღბების კომედიის“ პერსონაჟი; 33. კომში; 34. ... ვალონე.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პარკუჭი; 2. ლაქშმი; 3. სემაფორი; 4. ვილაიეთი; 7. პოსტულატი; 8. კლაქსონი; 12. იაგდტაში; 14. კონგრესი; 16. ბოქსიტი; 17. ფუტზალი; 19. კიჩო; 20. სარი.

**თარაზულად:** 5. „ვალენსია“; 6. ედელვაისი; 9. ბუსეტო; 10. მესეფი; 11. „სანტე“; 13. ბასფი; 15. კოპოლა; 18. მორფი; 21. თეოდოლიტი; 22. ინფანტა; 23. ბოსფორი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პორტერი; 2. ხამურაბი; 3. ალტრუიზმი; 4. თარხანი; 5. ფარენგეიტი; 10. ბულიტი; 11. ალავერდი; 12. „ჩარდაში“; 13. კურიოზი; 16. ავსტრალია; 17. ალკოჰოლი; 19. ისპაჰანი; 21. „კოლტი“; 23. კლიშე.

**თარაზულად:** 6. როინაშვილი; 7. „პალიტრა“; 8. „ფერარი“; 9. მურყვამი; 14. სუროგატი; 15. დარდანელი; 18. სიდრი; 20. პლუტოსი; 22. ციკლონი; 24. ნოველა; 25. კლარნეტი; 26. ბუშელი.

# ასტროპროგნოზი 28 აგვისტოსთვის



**ვერძი** – კრიტიკული დღეა. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბედი კვლავ გამოცდას გიწყობთ. თავი აარიდეთ კომერციულ საქმიანობას. კამათი კატეგორიულად გეკრძალებათ. **კურო** – ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას მაქსიმალურად ყურადღებით იყავით. ნუ იაქტიურებთ. შორს გამგზავრება სასურველი არ არის. **ტყუპები** – პლანეტები გაფრთხილებენ – ახალ ნაცნობს არ ენდოთ. არ გარისკოთ ფინანსური ოპერაციებისას, თორემ დამარცხდებით. **კირჩხიბი** – იდეების რეალიზებას შესანიშნავად ახერხებთ. თქვენი ენერგიულობითა და სპონტანურობით ყველას გააოცებთ. სოციალური სტატუსი უკეთესობისკენ იცვლება. **ლომი** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილოა, რაც, შესაბამისად, თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. ერიდეთ უსარგებლო კამათსა და საქმის გარჩევებს. **ქალწული** – პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი სავალალო იქნება. **სასწორი** – კეთილისმყოფელი და წარმატებული დღეა. ნებისმიერ საქმეს თამამად შეეჭიდეთ. მარტოხელებმა, შესაძლოა, ცხოვრების თანამგზავრი იპოვოთ. **ღრიანკალი** – პასიური, მძიმე დღეა. ჩვეულებრივი, რუტინული სამუშაო გელით. მოსალოდნელია აგრესია ოპონენტებისა და არაკეთილმოსურნე ადამიანებისგან. **მშვილდოსანი** – კრიტიკული დღეა. პროფესიულ სფეროში ვარსკვლავები აქტიურობას არ გირჩევენ. ასევე ერიდეთ რისკთან დაკავშირებულ კომერციულ ოპერაციებს. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება დღეს დაუშვებელია. დიდია შეცდომის ალბათობა. თქვენს ცხოვრებაზე მერკურის ზეგავლენა ფინანსურ კრახს გამოიწვევს. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი კვლავ მაღალ დონეზე გაქვთ. ნებისმიერ საქმეს თამამად მოჰკიდეთ ხელი. საპირისპირო სქესი თქვენით დაინტერესებულია. **თევზები** – დღევანდელი დღე გაორებული და წინააღმდეგობებით აღსავსეა. თავს ნუ მოიტყუებთ. ფულთან დაკავშირებით სიფრთხილე გამოიჩინეთ. საღამოს აუცილებლად დაისვენეთ, უმჯობესია, თუ განმარტოვდებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## „ღამის სერენადების“ გახსნაზე ლიანა ისაკაძის მეუღლე გარდაიცვალა



ბათუმში რიგით მეცხრე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „ღამის სერენადების“ გახსნაზე ფესტივალის დამაარსებლის ლიანა ისაკაძის მეუღლე თამაზ ჩაჩავა მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების მიზეზი გული გახდა.

ინფორმაცია ამის შესახებ თბილისის ბიგ ბენდის მუსიკოსმა ოთარ მაღრაძემ გაავრცელა:

– მოულოდნელად გარდაიცვალა შესანიშნავი ადამიანი, უკეთილშობილესი, პიროვნება, თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნე, ექიმი, ლიტერატორი, ხელოვანი, ქალბატონი ლიანა ისაკაძის მეორე ნახევარი, მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ბატონი თამაზ ჩაჩავა. მას ფესტივალ „ღამის სერენადების“ გახსნაზე ბათუმში გულმა უმტყუნა.

28 აგვისტოს თვითონაც უნდა მიეღო მონაწილეობა კონცერტში, მაგრამ ეს კონცერტი ჩატარდება, როგორც მისი ხსოვნის საღამო და ჩვენც უკანასკნელად მივაგებთ პატივს მის ხსოვნას. ნათელში ამყოფოს ბატონი თამაზის სული ღმერთმა!

## დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში დაკარგული ნივთები იპოვეს



საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის სხვენში რესტავრაციისას აქამდე დაკარგული მნიშვნელოვანი ნივთები აღმოაჩინეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ქართული უნივერსიტეტის თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების კლუბის ხელმძღვანელმა გიორგი ჩუბინიძემ გაავრცელა:

– დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის სხვენში რესტავრაციისას აღმოჩნდა შემდეგი ნივთები: დიმიტრი ყიფიანისეული წერილები, საბუთები, XIX საუკუნის რუსული პრესის ნაწილი, ლანგარი პარიზიდან დიმიტრი ყიფიანის ინიციალებით, პატარა ფაჩუჩი და ა.შ.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამ ექსპონატების ადგილსამყოფელი იმ „საზოგადო მოღვაწეების“ წყალობით არ ვიცოდით, ვინც ისინი სხვენში ათწლეულების წინ დაყარა და მიწის ფენის ქვეშ მოექცა.

იმდროინდელმა მწერალთა კავშირმა შენობა მთლიანად დაამახინჯა, რა ნივთი სად გაქრა კიდევ, კაცმა არ იცის და უნიკალური ბუხრებიც და შენობის ავთენტური დეტალებიც გაილესა და დაიფარა.

ზოგჯერ კულტურის მოღვაწენიც ანადგურებენ კულტურას და ეს მუზეუმი ამის მოწმეა.

## გურჯაანში მეფე კვირიკე III-ის საფლავი აღმოაჩინეს



გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის ნათლისმცემლის სახელობის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმართული სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების დროს, სავარაუდოდ, კვირიკე დიდის სამარხი გამოვლინდა.

ინფორმაცია ამის შესახებ საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ზვიად სეხნიაშვილმა გაავრცელა:

– საოცარი აღმოჩენა გურჯანის რაიონის სოფელ კალაურში!

ნათლისმცემლის გრანდიოზული სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის მარჯვენა ეკვდერის რესტავრაციისა და გაწმენდის პროცესში, რომელსაც მამა ილია (ჯანიაშვილი) ხელმძღვანელობს, აღმოჩენილ იქნა XI საუკუნის საფლავი, სადაც წარწერის მიხედვით განისვენებს „რანთა და კახთა მეფე...“. არქეოლოგებისა და სპეციალისტების დასკვნით, სამარე წარმოადგენს კახეთ-ჰერეთის მეფის კვირიკე III-ის განსასვენებელს, რომელიც მეფობდა 1010-1037 წლებში. მისი მმართველობის დროს სამეფომ სახელმწიფოებრივ, ადმინისტრაციულ და სამხედრო ძლიერებას მიაღწია. კვირიკე III-მ გააერთიანა კახეთ-ჰერეთი და მიიღო მეფის ტიტული.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ეკლესიის სამხრეთის მინაშენის საკურთხევლის აბსიდის წინ აღმოჩენილ საფლავზე, რომელიც ნათალი ქვითაა ნაშენი, ვრცელი ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი, რომელშიც გარკვევით იხსენიება რანთა და კახთა მეფე კვირიკე. სააგენტოს სპეციალისტები დიდი ალბათობით ვარაუდობენ, რომ სამარხი, სწორედ კვირიკე დიდის განსასვენებელი უნდა იყოს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელოვნებათმცოდნის გიორგი გაგოშიძის მიერ უკვე აღებულია სამარხის ეპიტაფიის ასლი, რომელსაც სხვა სპეციალისტებთან ერთად მომდევნო დღეების განმავლობაში დეტალურად შეისწავლიან.

ახლო მომავალში კი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო კალაურის ნათლისმცემლის სახელობის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე აღმოჩენილ სამარხზე არქეოლოგიური მოკვლევის სამუშაოებს დაიწყებს, რაც ახალი აღმოჩენის ისტორიული მნიშვნელობას მეტ სიცხადეს შესძენს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო კალაურის ნათლისმცემლის სახელობის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე სარესტავრაციო პროცესს 2 წელია ახორციელებს. ამ დროის განმავლობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები სააგენტოს დაფინანსებით წარიმართა. მიმდინარე წელს კი სარესტავრაციო პროცესზე, რომელიც კვლავაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობს, ფინანსური მხარდაჭერის ვალდებულება ფონდმა „ქართუმ“ აიღო. რეაბილიტაციის სამუშაოებს არქიტექტორ-რესტავრატორი თამაზ დვალი ხელმძღვანელობს, სარესტავრაციო პროცესი კი თამაზ დვალისა და არქიტექტორ ნოდარ მინდორაშვილის თანაავტორობით მომზადებული პროექტის მიხედვით ხორციელდება.

კალაურის ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსი 3-ეკლესიან ბაზილიკას წარმოადგენს, რომელსაც დიდი სატრაპეზო და რამდენიმე დამხმარე ნაგებობა აქვს.

## ქეთი დოლიძე: „მეგობრებო! არ გამოგივათ ეს სადამსჯელო ოპერაცია!“



სექტემბერში კულტურის სამინისტრომ მის დაქვემდებარებაში შემავალი სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელები უნდა შეცვალოს.

როგორც მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთი დოლიძე აცხადებს, შესაცვლელი 22 ხელმძღვანელიდან 19 არ იცვლება, რადგან ისინი უალტერნატივოები არიან, დანარჩენი შესაცვლელი სამი რეჟისორიდან კი ერთ-ერთი სწორედ ქეთი დოლიძეა.

რეჟისორის მხარდასაჭერად ცნობილმა მსახიობებმა, დრამატურგებმა, რეჟისორებმა, მხატვრებმა თუ მწერლებმა საჯარო წერილები გამოაქვეყნეს. მათ რიცხვს შეუერთდა მსოფლიოში ცნობილი ბერძენი რეჟისორი მიხეილ მარმარინოსიც, რომელმაც საქართველოს პრემიერ-მინისტრს ღია წერილი მისწერა.

თავის მხრივ, ქეთი დოლიძე მის მიმართ დაგეგმილ სადამსჯელო ოპერაციაზე ალაპარაკდა:

– მინდა მოგახსენოთ, რამდენად „პატიოსნად“, „ღიად“ მიმდინარეობს სამხატვრო ხელმძღვანელების როტაცია საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში.

როგორც უკვე გამოცხადდა, 22 ხელმძღვანელი უნდა შეიცვალოს!

აქედან 19 არ იცვლება, რადგან „უალტერნატივონი“ არიან და მორჩა!

დარწმუნებული ვარ, ასეა და გულწრფელად ვუსურვებ წარმატებებს!

დარჩენილი 3 ადამიანიდან ერთ-ერთი მე ვარ!

და ამიტომ:

ჩუმად, ისე, რომ ჩვენი თეატრის 70%-მა არაფერი არ იცოდა, ბატონი გიორგი სიხარულიძე, სასწრაფოდ დაბარებული და შემზადებული, თვითონ ყვება ბევრ კოლეგასთან! კულტურის სამინისტროში აგროვებს მხარდამჭერებს ჩემს ზურგს უკან და არწმუნებს ყველას: ქეთი დოლიძის მოხსნა უკვე გადაწყვეტილია სამინისტროში და ამიტომ მე უნდა დამიჭიროთ მხარი და მომიწეროთ ხელიო!

ეს რა 37 წელია?! ეს რა მზაკვრობაა?!

შე დალოცვილის შვილო, თუ ასე ვერ იოკებ ამბიციას, მობრძანდი და ღიად დაელაპარაკე ცოცხალ და ჯერ თავის ადგილზე მყოფ სამხატვრო ხელმძღვანელს!

ეს რა უზნეობაა?

რა აზრი აქვს, ვინ მოუწერა ხელი!

1997 წელს ზოგიერთმა არტისტმა თემურ ჩხეიძე არ მოუშვა თეატრში და არჩევნები გაუყალბა.

თქვენ იმასთან რა მოსატანი ხართ?

თქვენ რატომ აღმოჩნდით ერთადერთი, ვინც დათანხმდა ამ საქმეს? თქვენ, ასეთი მეთოდით მოსულს, რა საქმე გაქვთ თეატრში, რომელიც თუმანიშვილის სახელს ატარებს?

ეს გასწავლათ?

აკი, ყოველთვის გიღებდით კარს, როცა დადგმას გვთხოვდით?

რა ხარისხისაა თქვენი ქმნილებები, ეს ჩემი გასარჩევი არაა!

ეს უსინდისობაა!

თქვენ გარდა, არავინ დათანხმდა ამ მზაკვრობას....

ახლა იმ მეთოდის შესახებ, კულტურის სამინისტროს „დიდმა სტრატეგებმა“ რომ შეიმუშავეს!

რა სარეკომენდაციო კომისიის შექმნა იყო საჭირო ერთპიროვნულად მინისტრის მიერ, როცა ასარჩევიც არაფერი იყო?

19 ადამიანი – უალტერნატივო

ერთი – დასასჯელი და მოსახსნელი!

ამ კომისიის დასკვნა კი ისეა გასაიდუმლოებული (წევრებს არაფერს ვერჩი!), როგორც მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი!

მეგობრებო! არ გამოგივათ ეს სადამსჯელო ოპერაცია!

2012 წელს ასეთი, თქვენთვის საოცნებო დრო ჩაბარდა ისტორიას!

სირცხვილია და მორჩა!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

### კალეიდოსკოპი

## ნორვეგიელი მეხის დაცემას ბეწვზე გადაურჩა




ნორვეგიელმა ვიდეოზე აღბეჭდა ელვა, რომელიც მისგან სულ რაღაც ხუთ მეტრში ჩამოვარდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ეს იმ მომენტში მოხდა, როდესაც მამაკაცი საკუთარი სახლის ტერასაზე მდგომი, ჭექა-ქუხილს თვალს ადევნებდა. მოულოდნელად პარმალს მეხი დაეცა. კადრში ჩანს კაშკაშა ნათება, ასევე მძლავრი დარტყმის ხმა ისმის.

მეხის დაცემის ადგილას წარმოიშვა ორმო, კარს ბოლი აუვიდა. გარდა ამისა, გარშემო რამდენიმე მეტრში მიწისა და ბალახის ნაგლეჯები მიმოიფანტა.

## ნიუ იორკის ავტობუსში ქორწილი გადაიხადეს




ნიუ იორკის მცხოვრებლებმა კარა მულინსმა და ოსვალდო ჰიმენეზმა ქორწილი ავტობუსში გადაიხადეს. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.

წყვილი დააქორწინა ნაცნობმა, რომელიც ამის გამო ცხოვრების უნივერსალური ეკლესიის ღვთისმსახური გახდა, რომელიც ღვთისმსახურის სამოსს ყველა მსურველს აძლევს და ასევე უფლებას აძლევს, რომ ნებისმიერი რწმენა იქადაგოს.

საქორწინო ცერემონიას 50 სტუმარი და შემთხვევითი მგზავრები ესწრებოდნენ. ქორწილს ერთ-ერთი ტელეარხი პირდაპირ ეთერში გადასცემდა.

მომავალმა მეუღლეებმა ერთმანეთი 13 წლის წინ იმავე მარშრუტის ავტობუსში გაიცნეს. როგორც სასიძომ ტელეარხს განუცხადა, უჩვეულო ქორწილის იდეა მას ეკუთვნის, ხოლო საპატარძლომ დიდი სიხარულით დაუჭირა მხარი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

**ოთხშაბათი 28 აგვისტო**

**06.10** მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" **09.00** ტ/სერ. **"გამარჯვებული ვიქტორია"** **10.00** "მარიამობა"(პ/ტრანსლაცია) **13.00, 03.10** ქართული მხ/ფ **"ჩვენი ეზო"** **14.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **15.00, 04.35** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. **"ოფისი"** **18.30, 05.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. **"ცბიერი მოახლეები"** **22.00** ტ/სერ. **"მთავრობა"** **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **00.00** მხ/ფ **"შემოდგომის ლეგენდები"** (ე.ჰოპკინსი) **02.10** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად"

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

**07.00, 14.40** სერ. **"ელიფი"** **08.00, 16.00** სერ. **"ოჯახური პორტრეტი"** **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.45** ქრონიკა **09.20** სერ. **"პატარძალი"** **11.20** სერ. **"ფიცი"** **12.30** სერ. **"ღირსების სახელით"** **17.35** სერ. **"ხაფანგი"** **18.45, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება"** **21.00** სერ. **"ძმა"** **22.30** სერ. **"ელ პრინსიპე"** **23.30** დოკ/ფ "ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა– საქართველო" **00.45** მხ/ფ **"ჯეინ ეარი"** **02.45** მხ/ფ **"პრადა და გრძნობები"** **04.55** მხ/ფ **"ქლოი"** **04.45** მხ/ფ **"მხოლოდ შეყვარებულები გადარჩებიან"**

**06.00, 18.45** სერ. **"კაცი"** **07.00, 19.45, 20.03** სერ. **"დესპოტი ქმარი"** **08.00** სერ. **"ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები"** **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **12.30** სერ. **"ვარსკვლავის დაბადება"** **13.55** სერ. **"ფერიჰას საიდუმლო"** **15.30** სერ. **"წარსულის ჩრდილი"** **16.55** სერ. **"დაკარგული წლები"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00, 01.30, 2.00** მხ/ფ **2.30** კურიერის დაიჯესტი **3.15** მხ/ფ

GDS **08.00** ან/ფ "ავატარი **3**" **09.00** სერ. **"მონკი-7"** **13.00** სერ. **"ძვლები-3"** **17.00** სერ. **"სიმართლის ანატომია 2"** **19.00** სერ. **"ლურჯის ელფერი"** **21.00** სერ. **"კრიმინალური რომანი 2"** **22.30** მხ/ფ **"მისისიპის აჩრდილები"** **00.45** მხ/ფ **"ასტრონავტის ცოლი"** **02.35** მხ/ფ **"ხანგრძლივი ნიშნობა"** **05.00** მხ/ფ **"ცეცხლი და ყინული"** **06.25** მხ/ფ **"რომისა და მიშელის სასკოლო შეკრება"**

იბერია **08.00** ანანდა **08.05** მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" **08.30** დოკ/ფ "იესოს სასწაულები" III ნაწ. **09.20** დოკ/ფ "შემოდგომა" **09.55** დოკ/ფ "პანტანასა" **10.25** ავტომანი **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** სერ. **"ყველაფერი ცხოველების შესახებ"** **11.50, 1.30** მოდი გავიყაროთ **12.40** ბენეფისი **15.00** სერ. **"ბანდოლერა** **16.25** Hellow თბილისი **18.00, 03.00** ღია სტუდია **19.55** მე რომ ვიყო **20.00** სერ. **"ფოილის ომი"** **21.30** დე ფაქტო **22.35** სერ. **"სიყვარულსა და შიშს შორის "** **0.00** მხ/ფ **"სევდიანი ჟასმინი"** **04.00** სერ. **"რაშ"**

**06.15** ღვთის სახლი "ჰერეთი" **1.** **06.30** ღვთის სახლი "ჰერეთი" **2 . 07.00** პატერიკი **53.** ცრუ ხილვებით ეშმაკები ერთობიან **07.05** ქართული ალბომი "ძველი ყუთის ისტორიები-კალანდიები" **07.20** ჩვენი საგანძური "ჯრუჭი **2**" (სახარება) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** პატრიარქის ქადაგება **08.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება - მისია ლამანტინი" **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.15** მოკ. მხ/ფ **"სამოთხის გვრიტები"** **11.00** საკვირაო სახარების განმარტება **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ზოლიანი დოლი"** **13.35** ან/ფ "ჯუნგლის წიგნი" **15.05** ქართ.ან/ფ **1.**ერთხელ ტყეში **2.** ბაკური **15.20** სპექტაკლი **"შთამომავლობა"** **17.10** საუფლონი მარიამობა--- "გიხაროდენ სასუფეველსა " - მიძინება **18.10** ერთი დღე მონასტერში "ნანული სარაჯიშვილი-ავჭალის დედათა მონასტერი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00** მიწათმოქმედი "სოფელი დიდი ლილო" **19.20** გზა, რომლითაც ვიარე "ჟორდანიები" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.25** საუფლონი "ღვთისმშობლის მიძინება--მარიამობა" **20.40** ძილი ნებისა "იყო ერთი თაგუნა" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი **54.** მაკარი დიდი **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა "ქვათახევის მამათა მონასტერი" **22.00** დეკორატიული ფლორა "პიონი-იორდასალამი" **22.15** შარავანდედი " შიო ჩიტაძე, გაზეთი "ივერია" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "წინასწარმეტყველი ამოსი" II ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "არჩილ ჯორჯაძე" **23.45** ღვთის სახლი "საქარიის ღვთისმშმობის მიძინებს ტაძარი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.10** ჩვ. ფონდი "მ.ლორთქიფანიძე--აფხაზეთი და აფხაზები" **00.40** კონცერტი "ერისიონი"

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**28 აგვისტოსთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4158

ევრო — 2.8548

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1004

100 რუსული რუბლი — 4.0848

## ამინდის პროგნოზი 28 აგვისტოსთვის




## 1 აგვისტოდან




ქართული დეტექტივი
მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

**უფასო ბილეთი წარსულში**

**ორშაბათის სიზმარი**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 29 აგვისტოდან




ალექსანდრე იასაღაშვილი

**შავი ვარდი**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## პეტრიაშვილი და იაკობაშვილი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა პარიზში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 2 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გიორგი იანტბელიძის გაწვრთნილი ნაკრებიდან უმაღლესი ხარისხის მედალი ზურაბ იაკობაშვილმა (65 კგ) და გენო პეტრიაშვილმა (მძიმე) მოიპოვეს. ბრინჯაოს მედალი ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლადო ხინჩეგაშვილმა (61) ირგუნა.






პეტრიაშვილმა ფინალამდე სამივე მეტოქე ქულების აშკარა უპირატესობით ჩამოიცილა, რუსეთის წარმომადგენელი ანზორ ხიზრიევი 13:2, კანადელი კოეი ჯარვისი 10:0, ნახევარფინალში კი სომხების ქართველი ფალავანი ლევან ბერიანიძე 12:2 დაამარცხა, ფინალში კი 24 წლის ქართველმა გოლიათმა ტურნირის მთავარი ფავორიტი, ევროპის 4-გზის, მსოფლიოს 2-გზის და ოლიმპიური ჩემპიონი, თურქი ტაჰა აკგული დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. დაძაბულ ბრძოლაში საფინალო სირენამდე 15 წამით ადრე შესრულებული ორქულიანით აჯობა (10:8) და პირველად დაეუფლა მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალს.

**გენო პეტრიაშვილი:**

– ეს დაუჯერებელია. მართალი გითხრათ, ისეთი გათანგული ვიყავი, ბრძოლის დეტალები კარგად არც მახსოვს. მადლობა მწვრთნელებს, ექიმებს და საქართველოს ნაკრების ყველა წარმომადგენელს. ეს ერთი ოჯახია, ჩვენ ძმებივით ვართ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე



## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– წელს ერთი საგზურით მთელმა ოჯახმა დავისვენეთ.

– ერთი საგზურით? ეს როგორ?

– საგზური ვიყიდე და სიდედრი სანატორიუმში გავუშვი.

•••

აფთიაქში მყიდველების რიგი დგას. ამ დროს ახალგაზრდა შემორბის და იძახის:

– მე სასწრაფოდ!!! იქ ადამიანი მიწევს!

ყველამ გვერდით გაიწია და ახალგაზრდას გზა დაუთმო. დახლთან მისული გამყიდველს ეუბნება:

– პრეზერვატივების შეკვრა მომეცით!

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– უკვე გითხრეს, რომ დღეს შესანიშნავად გამოიყურები?

– არა...

– მაშინ იქნებ ხვალე გაგიმართლოს.

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– იცოდი, რომ ბავშვისთვის მამის სახელად დედის სახელის მიცემა შეიძლება.

– ალბათ ეს მაშინ, თუ მამამისისთვის სახელის კითხვა ვერ მოასწარი.

•••

ცოლი და ქმარი ველურებმა დაიჭირეს და ხეზე მიაბეს. ცეცხლი ააგიზგიზეს, ზედ დიდი ქვაბი შემოდგეს, დოლები ააგუგუნეს და მის გარშემო ცეკვა დაიწყეს. შეშინებული ცოლი ქმარს ეკითხება:

– რას გვიპირებენ, კაცო? უნდა გაგვაუპატიურონ?

– არა, ქალო, რა უნდა გაგვაუპატიურონ! უნდა შეგვჭამონ!

– სულ ჭამაზე როგორ უნდა ფიქრობდე, შე უბედურო შენა?!

•••

გლეხი სიგარეტის კოლოფზე გაკეთებულ წარწერას კითხულობს:

– მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის.

– ამის დედა ვატირე, ეს შობელძაღლები თოხზე კი არ დააწერენ! – ჩაილაპარაკა გაბრაზებულმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სერია „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო – 100 წიგნი" გრძელდება

**10 აგვისტოდან**
**ტომი 50**
**პინოჩეტი**




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

**17 აგვისტოდან**
**ტომი 51**
**იულიუს კეისარი**




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

**24 აგვისტოდან**
**ტომი 52**
**ლინკოლნი**




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## 22 აგვისტოდან




ლაშა იმედაშვილი

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**პატრიარქის ზაფხული**

ქართული დეტექტივი
ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## ამერიკელმა ქალმა რეკორდული ჯეკპოტი მოხსნა



ამერიკის მასაჩუსეტსის შტატში საავადმყოფოს თანამშრომელმა ქალმა მევის ვანჩიკმა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დიდი ჯეკპოტი მოიგო. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.

ჯეკპოტის ნომინალურმა მოგებამ 758.7 მილიონი დოლარი შეადგინა. თუმცა ქალმა ამჯობინა, ერთიანად მიეღო მოგებული თანხა, რამაც 480 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო გადასახადების გადახდის შემდეგ ის მხოლოდ 336 მილიონს მიიღებს. ის გამარჯვებულები, რომლებიც თანხის თანდათანობით მიღებაზე თანხმდებიან, გაცილებით მეტ ფულს იღებენ.

53 წლის ვანჩიკი, რომელსაც ორი მოზრდილი შვილი ჰყავს, 32 წლის განმავლობაში სპრინგფილდში სამედიცინო ცენტრის ექთნების განყოფილებაში საკანცელარიოს საქმიანობით იყო დაკავებული. მან ხელმძღვანელობას უკვე აცნობა, რომ სამსახურს ტოვებს.

ეს ჯეკპოტი ოდენობით მეორე პრიზია აშშ-ში. ის პოვერბელის მოგებას ჩამორჩება, რომელმაც 1,6 მილიარდი დოლარი შეადგინა, თუმცა სამ გამარჯვებულს შორის განაწილდა.

ვანჩიკმა ხუთი ბილეთი შეადგინა. ორ მათგანში ნომრები კომპიუტერმა შეარჩია, ხოლო სამში – თავად მან. ქალის თქმით, გამარჯვებულ ბილეთში რიცხვები მან ოჯახის წევრების დაბადების თარიღების მიხედვით შეარჩია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 7. კბილის ექიმი; 8. პირობითი ასოითი ნიშანი; 9. ყვავილთა დედოფალი; 10. საიზოლაციო მასალა; 11. კერძო სასტუმრო; 15. გაწმენდა მინარევებისაგან; 17. ბუნებრივი ცოცხალი ნიმუში; 19. ოპტიკური მოვლენა, ნათელი საგნების ბნელში დიდად გამოჩენა; 21. ოფიციანტი ევროპის ზოგ ქვეყანაში; 22. ზოგი ცხოველის დამსგავსება იმავე ადგილზე მცხოვრებ სხვა ცხოველთან; 23. ბერძნული სიმებიანი საკრავი.

**შვეულად:** 1. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 2. თეორიული მექანიკის ნაწილი; 3. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკები; 4. ნაყოფიერების ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 5. მუსიკალურ-სცენური კომედიური ხასიათის ფილმი; 8. დახურული მსუბუქი ავტო; 12. ხვიარა ბალახოვანი მცენარე; 13. იუპიტერის თანამგზავრი; 14. უნებისყოფობა; 16. სესილია თაყაიშვილის კინოროლი; 18. ერთი იდეით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი; 20. ქიმიური ელემენტი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

